K 5757/2

...ის გამოცემა, № 1

# ქართველები სპარსეთში

და

საქართველოში მოსული

ქართველი სპარსელი

ათამ ონიკაშვილი

თბილისი

სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა.

1895

მიხეილ ექვ. ხელაძის გამოცემა, № 1.

9(47992)

# ქართველები სპარსეთში

და

## საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი

ათამ ონიკაშვილი

15.757/2

4401.

7735.

თბილისი
სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა.
1895

*Дозволено Цензурою Тифлисъ, 1-го Декабря 1894 г.*

სპეც-2000
შემოწმებულია

სპეც-2000
შემოწმებულია

# ქართველები სპარსეთში.

ქართველი ტომის ერი ერთ დროს საკმარისად იყო გამრავლებული და აღორძინებული; ამ ტომის ერს კარგა ფართო ადგილებიც ეჭირა. X საუკუნეში ორივე სქესის რიცხვი 6 მილიონზე მეტი ყოფილა, XI საუკუნეში 7 მილიონი და XII საუკუნეში 8 მილიონი. რადგანაც ერთი ცნობა გვაუწყებს, რომ დავითის სამეფოში ათის თავზედ სალაშქროთ ერთი ქართველი გამოვიდა ,,და გამოხდა დავითისა სამეფოში კაცი ოთხასი ათასიო" 1), ამ ცნობიდან სჩანს, რომ ერთ დროს ქართველობა ოთხ მილიონამდის ყოფილა: ოთხი მილიონი მამა კაცი ყოფილა, ამათ თუ მდედრობითი სქესიც მივუმატეთ და ისიც ერთი ამოდენი ვიანგარიშეთ, მაშინ 8 მილიონზე მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ გამოვა. XIII საუკუნის ნახევრიდამ ქართველების რიცხვი კლებას მიეცა, ჯერ მონგოლების შემოსევამ და მერე ჯვაროსანთ ომში დიდი ძალი ქართველობა გაწყდა. საქმე ისე წავიდა, რომ XIV საუკუნის დამდეგს ქართველი ხალხი 5 მილიონი-ღა იყო. XV საუკუნეში 4 მილიონი,-მონგოლების შემოსევამ კვალად შეამცირა. XVI საუკუნეში 4 მილიონი. 1620 წლების შემდეგ 3 მილიონი. 1650 წლებიდამ სასტიკად იწყო კლება, რადგანაც ოსმალეთმა სამუდამოთ დაიჭირა და ჩამოაცალა საქართველოს დასავლეთი საქართველო, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი იქნებოდა. ეს წართმეული ადგილები ოსმალეთმა მიუმატა იმ საქართველოს ადგილებს, რომლებიც

1) დავით რექტორის შენიშვნა ვახუშტის გეოგრაფიაზე.

წინეთ წაართო საქართველოს, გ. ი. გარის ქართველთ. ოლთისის, კოლის, ვალმყერტის, ჰარხლის, იშხნის და სხვანი. საქმე იქამდის მივიდა, რომ XIX საუკუნის დამდეგს მთელი საქართველო მილიო ნახევარს-და შეადგენდა..

ასე და ამ გვარად დაეცა დიდებული ერი, დიდი რიცხვის მქონი ქართველი; ოდესმე თუ ამ ერის სახელი სახელოვნებდა და სჭექდა, უგანასკნელ იგი ისე შეიმუსრა ქრისტიანობის გულისთვის, რომ ქედ-მოხრილი მწუხარებით-და უმზერდა თვის მთამომავლობათ წარსულს; ქართველი ტომის ხალხის რაოდენობა დღეს ზოგი-ერთათვის გასაკვირველი იქმნება და მასთანავე საეჭვოც. მაგრამ შემდეგი მოსაზრება დაგვარწმუნებს, რომ აქ საეჭვო და გასაკვირველი არაფერი უნდა იყოს. აბა დავაკვირდეთ საქართველოს ძველ საზღვრებს, რკინის პალოდან დარუბანდამდე; ამ ადგილებში დარჩენილ ძველ შთენთ ნიშნებს და იქიდამ დავიწყოთ ანგარიში და მოსაზრება; თუნდ ავილოთ, მაგალითებრ, შემდეგი: განა 1 მილიონს, ან 2 მილიონ ხალხს შეეძლებოდა იმდენი ეკკლესიების კეთება, რამდენიც ჩვენს წინაპრებს უკეთებიათ? განა შესაძლებელი იქნებოდა, რომ მცირე ერს ეკეთებინა ისეთი ეკკლესიები და ისიც V საუკუნიდამ X საუკუნემდე, როგორიც არის მცხეთის ტაძარი, ბოლნისის სიონი, ხახულისა, იშხნისა, ტბეთის, ჰარხლის, თფილისის სიონი, საფარა, ზარზმა, ვარძია და სხვანი, რომელთა მოთვლა აქ საჭირო არ არის. განა ეს ისტორიული ძველ შთენთ ნაშთანი ცხადათ არ გვაჩვენობენ ქართველთ რაოდენობას, სიმძლავრეს და განვითარებას? მაგრამ ჩვენ რა დაგვარწმუნებს და რა დაგვაჯერებს! თვით ჩვენვე ვყოფთ ჩვენ თავს უარს და ვარღვევთ მას, რასაც სხვა-

ნი უნდა არღვევდნენ და სცდილობდნენ. სხვანი რაღაზე გაგვამტყუნოთ. ასეა გათახსირებული ერის საქმე, მაგრამ ქართველნი ამას არ გრძნობენ, დღესაც კიდევ იმ გზასა და კვალს ადგანან, რასაც ჩვენი მამა-პაპანი ადგნენ და რამაც დაგვაუძლურა და მიწასთან გაგვასწორა. ჩვენი ტომისთვის გარემოებას ხელი რომ მოეწყო და მისი ბედის ჩარხი უკუღმა არ გადატრიალებულიყო, დღეს ქართველი ტომის რიცხვი დიდის წარმატების გზაზე იქნებოდა დამდგარი. ძველ ქართველთ კარგათ ესმოდათ საქართველოს გაძლიერების საჭიროება და მათ სწორედ ამ ჰაზრით დაიმორჩილეს და გაქრისტიანეს ლეკები XII საუკუნეში; ამ აზრითვე დაეპატრონენ გაოხრებულ სომხეთს და ანში გადაასახლეს ასს ათასზე მეტი ქართველი, რომელთაც სომხეთში ქართველების ეკკლესიების შენებაც დაიწყეს და ბევრს ალაგას ააგეს ძვირფასი ტაძრები. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ქართველთ ასეთმა მისწრაფებამ დიდხანს არ გასტანა, მის ბედსა და მეცადინეობას სხვა რისხვა და მტერი მოევლინა, რომელმაც უძლურ ჰყო ძრიელი ქართველი, რომელმაც დასცა და დაამდაბლა ქართველობა, ქართველებში ამოკვეთა ერთობისა და წინმსვლელობის წადილი, ყოველი მოსაზრება და მიდრეკილება ქართველთა შეჰფერხა, შეაჩერა და მოსპო თითქმის ისე, რომ დღეს მრავალთათვის ქართველების რიცხვი კი არა და, ისიც კი საეჭვოთ ხდება, რომ ვითომც ამ ერს თავის განვითარებული ყოფა-ცხოვრება, მოქალაქეობა, სამხედრო ძალოვნება და გამგეობაც კი ოდესმე ჰქონოდეს. ჩვენ კი ვიტყვით თამამად, რომ ქართველი ხალხი ძველადგანვე დადგა დიდის წარმატების გზაზე; ძველად ქართველნი თანაბარნი იყვნენ რომის, ათინის და სხვა ასეთ

განათლებულთ ხალხთა; პირველ დროებში ქართველებშიაც ისე იყო ყველაფერი აღორძინებული, როგორც ზემოხსენებულ ხალხში. გარემოებას რომ ქართველთა წინ მსვლელობისთვის ხელი არ შაუშალა და ყველა აღორძინებათ ძალნი და სახსარნი მკვიდრად დაშთენილიყვნენ და ისე წარმართული იყვნენ, როგორც ის წინეთ იყო, დღეს საქართველო თანაბარი საქეფო და ერი იქნებოდა ევროპის განვითარებულ ერთა და საქეფოთა შორის; დღეს საქართველო არც ერთ ევროპის სახელმწიფოს და ხალხს არ ჩამორჩებოდა უკან. განა ამისთვის არ კმარა გავიხსენოთ ჩვენ V საუკუნის ქართველთ ხუროთ მოძღვრება, მხატვრობა, ცხენთა მკურნალობა, კაცთ ექიმობა, მკლებური მისნობა, ვარსკვლავთ მრიცხველობა, ქვის მჭრელობა, ქანდაკი, სარატნი, მველთ-ხელოვნური მწერლობა, და თუ გინდ გავიხსენოთ პეტრე ეპისკოპოსი, სტეფანე და დავითი V საუკუნეში და პეტრიანი XII საუკუნეში.

ვინც ამაში არ დამერწმუნება, იმან გაიცნოს ჩვენი და უცხო ტომთ მველთა დროთა ისტორიები და იქიდან დარწმუნდება ჩვენ ჭეშმარიტებაზე. საქართველო ოდესმე ბედნიერი და სახელოვანი, თავის მომავალს ბედნიერებას ასცდა XIII საუკუნის გასვლიდამ, მისთვის დადგა დიდი ჭირი და ნგრევის ხანა. საქართველოს ასეთი უბედური მხვედრი გამოწვეულ და მოვლენილ იქმნა თათრებთა მოსებით, უფრო ქრისტიანობის მტრობით. ქრისტიანობის წინეთ ქართველნი დიდად მრავლდებოდნენ, რადგანაც მათ კავკასიის მონათესავე ხალხებთან დაახლოვებული კავშირი ჰქონდათ, ასეთი გამრავლება ქრისტიანობის შემდეგაც იყო, რადგანაც ქართველთ როცა მეფეები ამოუწყდებოდათ, მაშინ იგინი მომართავდნენ თავიანთ მონათესავეებს ანუ მეზობლებს: სპარსთ,

სომეხთ და თავიანთ სამეფო ტახტის აღსადგენად მათ სთხოვდნენ მეფის შვილსა, ძმას, ბიძას და ან მთავრის შვილსა. ასე იყო და ასევე წავიდოდა ქართველთ საქმე, მაგრამ ამას წინ გადაედობა მაჰმადის გამოჩენა და მაჰმადიანობის გავრცელება. მაჰმადის სარწმუნოების გავრცელების შემდეგ ქართველთ იწყეს კლება. ქრისტეს სჯულის მფარველობისთვის მაჰმადიანთა წინაშე ქართველნი დას დასობით სწყდებოდნენ. ხშირად მტერსაც სპობდნენ და ჰხოცავდნენ, მაგრამ თვითონაც მარცხდებოდნენ და მცირდებოდნენ, რადგანაც რიცხვით მაჰმადიანები სჭარბობდნენ ქართველთ.

მთელ კავკასიის ხალხში მაჰმადიანობას მკვიდრად გაედგა ფესვი და მაჰმადის დროშა დიდის დიდებით გაიშალა. საბრალო და ახოვან ქართველებს ხშირად შინ გაწყვეტას გარდა სპარსთ-ოსმალეთშიაც მიერეკებოდნენ და ასახლებდნენ, ზოგს სად და ზოგს სად. ვინც საქართველოში რჩებოდნენ, ისინიც მუდმივ ომში იყვნენ გართულნი და ქრისტიანობის გულისთვის მწარედ ემუქრებოდნენ გარ შემოსეულ მაჰმადიანებს. ერთ ჩვენ უძლურებათ თვით ჩვენი ტომის მშვენიერებაც ხდებოდა, რადგანაც აზიის მაჰმადიანთ შავი ხალხები ძრიელ ეტანებოდნენ ჩვენ ხალხსა, ქართველთა შვილებით ამშვენებდნენ თვის მოდგმას. [1]) XVII საუკუნეში მთელი სპარსეთი და ოსმალეთი სავსე იყო საქართველოდან წაყვანილ ქართველთა შვილებით. [2]) არ მოიძებნებოდა სადმე ვინმე ფაშის ან ბეგის ოჯახი, რომ იქ ერთი და ორი ქართველი უმაწვილი არ ყოფილიყო დაკავებული. შაჰ-შაჰების და სულთნების

1) საქართველო, დ. ბაქრაძისა. ტფილისი 1872 წ.
2) პიეტრო დელლავალის მოხსენება რომში.

ჯარამხანებიც ხომ ყოველთვის ქართველთ შვილებით იყო სავსე.

შაჰის ჯარამხანის უფროს გამგეთ დასაჭურისებული ქართველი იყო, ქართლელი, გვარად ს......შ.... 1795 წელს ეს პირი ტყვეთ წაუყვანიათ სპარსეთში.

მგონი ყველა ქართველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ რიცხვ-მრავალ ქართველთა ტომის შვილებთა შთამომავლობით სავსე უნდა იყოს ოსმალ სპარსეთი. ჩვენი ტომის შვილებთ რიცხვი იქამდის გამრავლებული იყო ზემოხსენებულს ხალხებში, რომ **XVIII** საუკუნის ბოლოს აფრიკის მთავარ ფაშათ ქართველ მაჰმადიანთაგანი იყო, გურული. ამ საუკუნეებშიაც ერთ დროის ოსმალეთის შეიხ ისლამათ სტამბოლში ქართველთაგანი იყო, არტაანელი; მაგრამ დავანებოთ ამ ცნობებს და საუბარს თავი და გადავიდეთ იმ ცნობებზე, როცა ჩვენი ტომის უკან წევის დღეები დაიწყო; როცა დადგა ქართველთ გადაგვარების და ამოწყვეტის ხანა.

,,ვეფხის ტყაოსანში" მოხსენებულ ჯალალედინ შვილის ხვარაზმ შაჰის შემოსევიდან იწყება ჩვენი შემცირება. ჯალალედინ-ა სპარსეთში გადაასახლა 15,000 ქართველი; მეორე შემოსევის დროს გადაასახლა 10,000 ქართველი, ზოგი ამათგანი მოქცეულ იქმნენ თავიანთ მამულში, რადგანაც შაჰი გზაში მოჰკლეს. მ მრისხანე მტერმა ეს ქართველნი ისე მოაცალა საქართველოს, რომ მაინც შემდეგ თავიანთი სამშობლო თვალითაც აღარ უნახავთ. ლანგ თემურმა წაიყვანა 10,000 ქართველი, უმეტეს ახალ გაზრდა გოგო-ბიჭები, თანვე წაიღო მრავალი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნები; რომელ ხელთ ნაწერი წიგნები დღევანდლამდე ინახება სამარყანდის ერთ ციხეში; ეს წიგნები სომხის

მოგზაურებსაც უნახავთ. იქიდამ ამ წიგნების გამოტანის-თვის მათ წყევლა ჭქონიათ დადებული 1), შაჰ ისმაილის და აბას მამისაგან გადასახლებულთ რიცხვი 25,000 ქართველზე მეტია, უმეტესი სამხრეთ და ჯავახეთის საქართველოს ქართველნი, რომელ მხარესაც დღეს სამხრეთის მაგიერ „სომხეთი" ეწოდება. შაჰ-თამაზმა გადაასახლა 50, 000 ქართველი და ხვარასანში დაასახლა; ამ დროის აოხრდნენ ფიტარეტი, ტანძია, ბოლნისი, დმანისი და სხვანი. შაჰაბაზმა* გადაასახლა, ზოგის თქმით, 80 ათასი, ზოგის 120 ათასი. და ზოგის თქმით 100 ათასი. ზედ მიწევნით კი 100 ათასი მაინც უნდა ვიგულისხმოთ, 2), რადგანაც ამ დროის აოხრდა, საინგლო, ივრის-ხეობა, ქიზიყი, კარდთა-ნაშენი, ვართაშენი და დღეს ნახევარ კახეთი. ამ ქართველთა უმეტესი ნაწილი ამოწყდა სპარსეთში, რადგანაც სპარსეთში ამათგან ცხენოსანი ჯარი შეადგინეს, სადაც 30,000 სული ითვლებოდა ქართველთა და რომელნიც აქა-იქ სპარსთა მტრების წინაშე ბრძოლაში გაწყდნენ. აზანმა გადაასახლა 5,000 ქართველი და ქსენი გილანში დაასახლა. აქ დღევანდლამდი დარჩნენ ქსენი და 1840 წლებამდე აქ ქსენი ქართულად ლაპარაკობდენ 3), ხელიმ ხანმა წაიყვანა 10,000 ქართველი, შემდეგ დროებში მრავალი ამათგანი დააბრუნა გამოჩენილმა ხოსრო მირზამ. შაჰი უსეინის დროს წაყვანილ იქმნა 3,000 ქართველი. შაჰ-ნადირმა წაიყვანა 5,000 ქართველი, ქარიმ-ხანმა წაიყვანა 3,000 ქართველი, მირვეისმაც გადაასახლა, გადასახლებულთ ცნობა არ სჩანს; კონსტანტინეს მამკვლელობის დროს 100 კაცზე მეტი იქმნა წაყვანილი, ლეონ ირანთა მსა-

---

საქართველოს აოხრება, შედგენილი XVIII საუკ. 1883 წ. ტფილისს.

2) ბრძოლა საქართვ. მოსპობაზე, ა. ფურცელაძისა. ტფილისი 1894 წ.

3) ნაამბობი სპარსეთში ყოფილის სალამბეგოვის მიერ.

ჯულის დროს 200 კაცი, ირაკლი ნაზარალხანის დროს 100 კაცზე მეტი; დიმიტრი თავდადებულის დროს 300 კაცზე მეტი. დოუთხანის დროს 300 კაცზე მეტი, ბევრნი ამათგანი ურუმიისაკენ იქმნენ დასახლებულნი. 1795 წელს წაყვანილ იქმნა 10,000 კაცი, ვახტანგ მეექვსესაც 100 კაცი წაჰყვა, ერეკლე მეორეს დროს 300 კაცის გამოჩენილნი მხედარნი, ამათ უმეტესი ნაწილი ავღანისტანში გაწყდნენ.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ სპარსეთში გადასახლებულ ქართველთ რიცხვი, ჩვენის მიხვედრით და ისტორიულის ცნობების ცოდნით. თუ რიგიანად დავადექით საქმეს და მკაცრათ გავარკვიეთ ჩვენი ისტორიის ცნობები, მაშინ ჩვენ ამაზე მეტ რიცხვსაც დავინახავთ გადასახლებულთ, ამათ კვალსა და ცნობებს კი ვერ ვპოვებთ, მრავალნი ისე გადუსახლებიათ და ისე დაღუპულან თავიანთ სამშობლოსთვის, რომ მათ შესახებ არსად ხსოვნაც არ დარჩენილა. ოსმალეთმაც საკმარისად იჯერა გული; 1580 წ. შემდეგ დაუწყო გადასახლება კარის (ყარსი) ქართველთ, არტაანის (არდაგანის) ოლთისის, ჰარამდე და მრავალთა სხვა ადგილების, რომლებიც არ თათრდებოდნენ. ოსმალთაგან გადასახლებულთ რიცხვი სულ რომ ცოტა ვსთქვათ 1600—1844 წლებამდის 300,000 სულზე მეტი ქართველი გადაუსახლებია, რომლებიც ქურთისტანში, ეგვიპტეში და აქა-იქ შორს ქვეყნებში დაუსახლებიათ; ამათ ალაგას საქართველოში კი სხვებს ასახლებდნენ, როგორც მაგალითებრ ახალციხის მხარესთან, საქართველოს საზღვრებზე. 1878 წლის შემდეგ ოსმალოს საქართველოდამ 100,000 სულზე მეტი გადასახლდა. 30,000 მაჭახლიდამ; 10,000 სული ქობულეთიდამ, 10,000 სული ლივანიდამ; ამდენივე ქვედა და ზედა

აჭარიდგან. აგრეთვე სხვა და სხვა ადგილებიდან, რომელთა რიცხვი მთლად, 100,000 სულზე მეტი იქნება; ესენი სახლობენ სტამბოლს, ტრაპიზონს, ჩარშამბას, სინოპს, ესკიტრაბიზონის, ტრიპოლ, სუნიას, ორდს და სხვაგან *) სპარსეთს და ოსმალეთს გარდა ქართველნი თავიანთ ნებით რუსეთშიაც გადასახლდნენ, 1640—1820 წლებამდე სტავროპოლისკენ, მოზდოკს, ყიზლიარს და სხვა ადგილებში 10,000 სულზე მეტი იქნება გადასახლებული, უმეტეს მებატონეთა ყმანი დევნულობის გამო. ამათ შთამომავალნი დღევანდლამდე სცხოვრობენ კავკავს, მოზდოკს, ყიზლარს, სტავროპოლს და სხვაგან. ზოგმა მათგანმა შეინახა სამშობლო ენა, მრავალნი ხივაშიაც ყოფილან ძველათვე გადასახლებულნი და თვით ქალაქი ახალთექაც ქართველთაგან ყოფილა გაშენებული, თექლებში რომ ძველად ქართველნი ყოფილან და ესენი დიდათ გამრავლებულიც, ამას ისიც მოწმობს, რომ დღევანდლამდე თექლები ბევრს ახსოვთ, რომ ისინი ქართველთ შთამომავალნი არიან; ესენი ამაზე ყველგან ლაპარაკობენ. ვახტანგ მეფემ რუსეთში გადაიყვანა 2,000 ქართველი, ამათ უმეტესი ნაწილი რუსეთში დარჩნენ და აღარ დაბრუნდნენ. დაღისტანშიაც მრავალნი ყოფილან წაყვანილნი ძალადობით, ნამეტარ ყმანი მებატონეთა, დევნულობის გამო; ესენი დაღესტანში ლეკდებოდნენ, რომ მით თავი ეხსნათ მებატონეთაგან. შუა გულ სომხეთშიაც მრავალნი ყოფილან წაყვანილნი და თუ თავის ნებით გაქცეულნი. რაფის სიტყვით, ერთ ქართველ თავადს ქაღალდის თამაშობაში 150 კომლი ქართველი წაუგია, ეს მოუგია ერთ მდიდარ სომეხს, ამ სომეხს ეს ხალხი შუაგულ სომხეთში გა-

*) ქართველები ოსმალეთში, ჩემი დაუბეჭდავი წერილი.

დუსახლებია და ერთ სოფელში დაუსახლებია. დღეს ესენი მთლად გასომხებულები არიანო. სარწმუნოებით გასომხებულნი საქართველოშიაც ბევრნი არიან, გაბერძნებული იერუსალიმისკენ, ჯვარის მონასტრის ყმანი, ძველადვე გადასახლებულნი V საუკუნეში და რუსეთში სარწმუნოებით და ენით სრულიად გადაგვარებულნი.

აი ამან შეამცირა ქართველთა რიცხვი საქართველოში, ამან გახადა დღეს საეჭვოთ ჩვენთვის ისიც კი, რომ ვითომც ქართველნი ოდესმე 3 მილიონიც კი არ ყოფილან, გადასახლებულთ ქართველთ გარდა კარგად მიადევნეთ თვალ-ყური სხვა და სხვა საუკუნოების ომებში დახოცილ ქართველთ რიცხვს და მაშინ თქვენ ცხადად დარწმუნდებით, რომ ქართველნი XI, XII, XIII საუკუნოებში 8 მილიონზე მეტიც უნდა ყოფილიყვნენ, ორივე სქესისა, უცხო ქვეყნისკენ წაყვანილებში ხშირად თვით მეფენი და მეფის ძენიც ერივნენ, ბატონნი, მთავარნი, მათი ცოლები და შვილები, ამათ გარდა ერივნენ სასულიერო პირნიც, თვით მღვდელ-მთავარნიც, მღვდლების და ბერების რიცხვიც ხომ ყოველთვის მრავალი იყო. ხშირად ერივნენ მწიგნობარი ქართველნი და მწერალნიც, და როცა ესენი მიდიოდნენ სპარსეთში, მაშინ ამათ თან მიჰქონდათ მრავალი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნები და სხვა და სხვა ძველი ნივთები, რადგანაც მათ საქართველოში დაბრუნების იმედი აღარ ჰქონდათ. ესენი შთებოდნენ სპარსეთში, რამდენიმე ხნის შემდეგ იგინი ძალ-დატანებით მაჰმადიანობას უერთდებოდნენ და უკანასკნელ, სიბერეში შესულნი იხოცებოდნენ კიდეც, ამათ რჩებოდათ იქ შთამომავლობა, და ესენი ძველს წიგნებს და ნივთებს უანდერძებდნენ ხოლმე, რომ მათ შეენახათ ფაქი-

ზათ და არ დაეკარგნათ; ესენი აუწყებდნენ შვილებს, რომ ჩვენ თუმცა გავთათრდით და ეს წიგნები და ნივთები ჩვენთვის საჭირო არ არის, მაგრამ როგორც ჩვენი მამა-პაპის საკუთრება, ამიტომ გთხოვთ, რომ ესენი ხელ უხლებლად შეინახოთ. ასე უბედურთ და სამშობლოსაგან მოწყვეტილ ქართველთაგან სპარსეთში დიდი ძალი ძველი წიგნები და ნივთებია წალებული.. 1879 წელს თბილისში თავრიზიდან მოვიდნენ სპარსთა მეწიგნენი, ამათ თან მოიტანეს ბევრი სპარსული წიგნები, და ამ წიგნებთ შორის მოიტანეს რამდენიმე ძველი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნები, რომლებიც აქ დაჰყიდეს; ყველა ხელთ-ნაწერი წიგნები სპარსეთში იყვნენ ნაწერნი, სამთელ გავლებულს ქაღალდზე, სრულიად სპარსთა წესით. სპარსეთში ნაწერი ქართული ასოები დიდათ განირჩევა საქართველოში ნაწერ ანბანისაგან.

სპარსეთში დიდი ძალი ქართველობა სცხოვრობდა და ამ დიდ რიცხვს იქ დიდი ბინადრობაც ჰქონდა გამართული. უნდა ითქვას, რომ იქ მცხოვრებ ქართველნი ხშირად მწიგნობრობდნენ კიდეც და სწერდნენ სხვა და სხვა ისტორიულ წერილებსა, რომლებშიაც ქება-დიდებით და ცრემლებით მოიხსენებდნენ თვის ამბებს, სამშობლოსგან მოშორებას, ომებს, გაჭირვებას, თავ-გადასავალს, ქართველთ მეფეთა ამბებს და ბევრს კიდევ სხვა ცნობებს; ასეთ ცნობებს გარდა ესენი სწერდნენ ლექსებს, სთარგმნიდნენ სპარსულ ზნე-ხასიათის ზღაპრულ მოთხრობებს, სამეცნიერო და საექიმო წერილებს და ამ წიგნებიდან ზოგს საქართველოშიაც ჰგზავნიდნენ ხოლმე და ზოგს იქ იტოვებდნენ; შთამომავლობისაგან ეს წერილები შთამომავლობას გარდაეცემოდა ხოლმე. ყველა ჩვენი გამოჩე-

ნილი მთარგმნელები სპარსეთშიც ყოფილან, იქ აღზრდილან, ზოგნიც კი იქ დაბადებულან და იქ შეუსწავლიათ მწიგნობრობა; ვახტანგ მეფემ ,,ქილილა და მანის'' თარგმნა სპარსეთში დაიწყო ერთ იქ მყოფ სომხის დახმარებით, რომელმაც ქართული საკმარისად იცოდა. ხოსრო თურმანიძემაც იქ დაიწყო ,,როსტომიანის'' თარგმნა. დოსითხანმაც სპარსეთში სთარგმნა შარიეზადეს ,,მუნთანაფი შია'' ანუ კარაბადინი, ბევრმა კიდევ სხვა მგელმა მწერლებმა იმუშავეს იქ; ამას მოწმობენ თვით მათი ნაწერები. **XVIII** საუკუნის გასულს მთელი სპარსეთი სავსე იყო ქართული ძველი ხელთ-ნაწერი საეკკლესიო წიგნებით, ხატებით და ჯვრებით საეკკლესიო ძველი ნივთებით, რომლებიც ქართველთ სამღვდელოპირთ საქართველოდან იქ მიჰქონდათ თავიანთ გარდასახლების დროს. ქართველნი სპარსეთში ტყვეთ-პყრობილნი და წაყვანილნი დიდათ მაგრობდნენ სჯულის გამოცვლას და ხშირად ამისთვის ეწამებოდნენ კიდეც, ბევრს წამებას და ტანჯვას იტანდნენ ხოლმე, მაგრამ სამუდამოთ სჯულზე კი მტკიცედ მაინც არ რჩებოდნენ, რადგანაც მუდმივ ბრძოლა და ტანჯვა სჯულის გამო ერთობ ბეზრდებოდათ და უჭირდებოდათ, ბევრ ქართველთ კი გადაირჩინეს თავი გათათრებას მით, რომ ზოგ ამათგანმა თავის თავი სომხის სარწმუნოების მქონეთ აღიარა, ზოგმა აისორის და ზოგმა კათოლიკის. ამ სარწმუნოების მქონ ქართველთ სპარსნი ხმას არ სცემდნენ. მიზეზი ამისა ჩვენთვის ცხად არს: ეს ოსმალ-სპარსთა ბარბაროსული პოლიტიკა იყო.

სპარსეთი ძველადგანვე სავსე იყო სომხებით, აისორებით, ბერძნებით და XII საუკუნეში იქ გაჩნდნენ კათოლიკეთა შველა ორდენის მამებიც; ამათ იქ დაიწყეს ექიმობა, ხსნიდნენ სასწავლებლებს და ქრისტიან აისორ ხალხში კათოლიკობას ავ-

რცელებდნენ. სპარსეთში მოსულნი თუ ტყვეობით წაყვანილნი ქართველნი ყოველთვის ამ ქრისტიან ხალხს ეკედლებოდნენ და ხშირად მრავალნი ქართველნიც უერთდებოდნენ კათოლიკობას, სომხობას და ნესტორიანობას. ქართველებს თუ რამ გააჩნდათ ქრისტიანობის წიგნები ან სხვა რამ ნივთები, სულ ამ ქრისტიანთ ერთა ეკლესიებში მიჰქონდათ შესაწირავად და შესანახად. დღესაც თურმე სპარსეთში ძრიელ ბევრს ეკლესიებში ნახავთ ქართულ ძველს წიგნებს, ხატებს და სხვა ნივთებს, რომლებსაც იქაური ქრისტიანები დიდის პატივით ეპყრობიან და ფაქიზათ ინახავენ.

სპარსეთში ქრისტიანათ დაშთენილთ ქართველთა დაჰკარგეს თავიანთი დედა-ენა, ვინც სომხად აღიარა თავი, ის გასომხდა, ვინც კათოლიკეთ, იმათგანმა ზოგმა სომხური ენა შეითვისა, ზოგმაც აისორული, უმეტესი ნაწილი კი გათათრდა და ენა დაივიწყა. წინეთ ქრისტიანად დარჩენილ ქართველთ გარდა, სომხის, ფრანგის და აისორების ეკლესიებში ხანდისხან გათათრებული ქართველებიც დადიოდნენ; ესენი დიდის პატივით ეპყრობოდნენ საეკლესიო საქმეებს და სახლებში თუ რამ გააჩნდათ, ხატები ან წიგნები, სიკვდილის შემდეგ ყველა ამაებს ეკლესიებში აწყობდნენ, სხვაგან სად რას წაიღებდნენ. სომხის, კათოლიკის და აისორების ეკლესიების გალავნები ძველად სავსე ყოფილა ქართველთა საფლავებით. რაფის სიტყვით ალექსანდრე ბატონიშვილიც თავრიზის სომხეთა ეკლესიის კარებშია დასაფლავებული 1). ურუმიაში ძველად ქართველების რიცხვი დიდი ყოფილა, თვით ალექსანდრე ბატონიშვილიც იქ იმყოფებოდა და აისორთა მღვდელ-მთავრის მარშიმონის (მა-

1) სახსოვარი, გამოცემა 1882 წ. ტფილისს.

მა სვიმონს) ემეგობრებოდა, მის ნათესავ ქალს ირთავდა. ბრიტანიის ერთმა მქადაგებელმა შამმა იმოშ გარდმოსცა, რომ მე თვით მოვესწარ ქართველ მოხუცებულ ქალებს, რომლებიც ურუმიაში სცხოვრობდნენო; ისინი და იმათ დედ-მამა ამ საუკუნის პირველ წლებში ურუმელთ დაეხსნათ სპარსის ხელიდან და შინ მოეყვანათ. მოხუცებულებისაგან გამიგონია, რომ ძველ დროში სპარსეთში ქართველები ხშირად მოჰყვანდათ ტყვეთა და ამ ქართველთაგანი ხშირად იფარავდნენ ქრისტიანობას აისორთა დახმარებით და ბოლოს აისორთა ეკლესიასაც უერთდებოდნენ. სპარსეთის ქრისტიანთ ეკლესიებში კიდე ბევრს ნიშნებს და განძებს ნახავს ქართველთა ერისასა. სპარსეთში ქართველობა და ქართული ენა ყველგან მოისპო. დარჩ მხოლოდ იმ ადგილებსა და სოფლებში, სადაც მხოლოდ ქართველნი ესახლნენ და მათ სპარსებთან მისვლა-მოსვლა ხშირად არ ჰქონიათო: ასეთი ადგილები და ქართველნი ერთო მცირეა და თუ სადმე ქართველნი არიან დაშთენილნი, ისინიც სულ გათათრებულნი არიან შიის სარწმუნოებითო. არ მაქვს იმედი, რომ 100 წლის განმავლობაში ამათაც დაჰკარგონ ქართული ენაო. ჩვენ ვცადეთ მათში მოგზაურობა და გაქრისტიანებაზე ლაპარაკი, მაგრამ ვერა გავაგონრაო. თავის დროს ამ ქართველთა შესახებ ბრიტანიის სამღვდელო საზოგადოებას ჩვენ მოხსენებაც გავუგზავნეთ მაგრამ არაფერი მოხერხდაო.

დროის განმავლობის მეოხებით სპარსეთში ქართველებმა დაჰკარგეს თავიანთი სამშობლო ენა, თავიანთი ვინაობა და გარდმოსახლების ამბებიც; გათათრებულ ქართველთ შეითვისეს სპარსული ენა და ქრისტიანად დარჩენილების ზოგ

ომხური, ზოგმა სპარსული. როგორც ესენი დაიკარგნენ ავიანთ ქვეყნისთვის და დაივიწყეს მათ საქართველო, ქარ-ველი ხალხი და ხსოვნა, აგრეთვე ჩვენ მოგვივიდა და ჩვენც გვავიწყდნენ იგინი, მიგვავიწყდნენ მიტომ, რადგანაც მათ ესახებ ჩვენი ძველი ისტორია სულ მცირედ გარდმოგვცემს; თელი „ქართლის ცხოვრება" ცარიელია ამის შესახებ ცნო-ბით და თუ არის სადმე რამ მოხსენებული, ისიც ორი სამი სიტყვით ასე: „შაჰაბაზი მოვიდა, კახეთი აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა" ეს არის, მორჩა, მოისვენა, ამით გათავდა საქმე. საკვირველია, ნეტა ისეთი დიდი შემთხვევები, როგორიც იყო ქართველთ გარდასახლება სპარსეთში, ქარ-ველთა მეისტორიეთათვის რად იყო უმნიშვნელო და ისე მცირებული, რომ ასეთს დიდს შემთხვევებზე ისე მცირეთ დმოგვცემენ „აჰყარა და წაიყვანა" ეს არის „ქართლის ოვრების" ცნობა. ჩვენის გარდასახლების და სპარსეთში მცხოვ-ქართველთა მდგომარეობის და დაღუპვის შესახებ ისევ ო მწერლები უფრო მეტს ცნობებს გარდმოგვცემენ, ვიდ-ჩვენები; მაგალითად: ლათინთ მოძღვარნი და სომეხნი. ადგან გარდმოცემული ცნობები რომ არ გვქონდეს, მაშინ ჩვენ სპარსეთში წინათ ყოფილ ქართველთა შესახებ სულ არა-ფერი გვეცოდინებოდა. მაგრამ ქართველნი რაში არა ვართ მივიწყებულნი და უკან ჩამორჩომილნი. სპარსეთში გარდა-სახლებულ და დაღუპულ ქართველთა ცხოვრებაზე ცოდნა კი არ, თვით ჩვენს გვერდით, ჩვენს სამშობლო სამცხე სათაბა-გოში მცხოვრებთ ქართველთ მაჰმადიანთ ცხოვრებასაც არ ვიცნობთ, თვით ჩვენს მთიულებს, ფშავ-ხევსურეთ, საინგი-ლოს, სამეგრელოს, სვანეთს, აფხაზეთს, ჯავახეთს და აბა

მარანდაში, ქირმანში, თავრიზში, ხოროსანში და სხვა დამო-
რებულ ადგილებში მცხოვრებთ ქართველთა შესახებ რა უნდა
ვიცოდეთ.

ასე და ამ გვარად დავეცით, ასე წაგვივიდა ჩვენ საქმე
და ოდესმე დიდებულნი ისე დავუძლურდით, რომ უკანასკნელ
ჩვენი არსებობის საქმეც კი საეჭვოთ შეიქმნა თვით ჩვენთვის;
ისე საეჭვოთ, რომ ამ რამდენისამე წლის წინეთ ქართველ
კაცისთვის რომ გეთქვა, სპარსეთში ოდესმე ქართველნი
სცხოვრობდნენო, ის მაშინათვე ეჭვით შემოგხედავდა და
გაჰკვირდებოდა. ზოგნი ასეც იტყოდნენ ხოლმე.

შე კაი კაცო, ქართველები საქართველოშიაც აღარ სცხოვრო-
ბენ და იქ რამ წაიყვანა, იქ რა აცხოვრებთო, ბევრმა არ იცი
მიზეზი ქართველთა საქართველოში შემცირებისა, რომ სწო-
რეთ ის გახდა ამის საფუძვლად და მალად, რომ ქართველ
საქართველოს გლეჯავდნენ და უცხო ქვეყნებში მიერეკებოდ
საცხოვრებლად, ვიტყვით იმასაც, რომ სპარსეთში მრა
დაკარგულ და დალუპულ ქართველთ გარდა აქა იქ დარჩე-
ლან ისეთი ქართველნიც, რომელნიც თუმც გათათრებულ
სარწმუნოებით, მაგრამ ქართული ენა და საქართველოს ხსო-
ნა კი მაინც არ დაუკარგიათ. ამათ თავიანთის ენით ჩვენ
დრომდის მოუღწევიათ. ამის შესახებ ჩვენ აქედამ დავიწყებ.

ჩვენდა მოულოდნელად და საკვირველად, 1871 წელ
თბილისში მოვიდა სპარსეთიდამ, ერთი სპარსელი ქართველ-
თაგანი, სახელად ა თ ა მ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ქართულს ენაზე
წმინდად მოსაუბრე, არაბულის წერა-კითხვის მცოდნე, აგრეთვე
სპარსულის და სხვა აღმოსავლეთის ენებისა. სპარსეთში
დაბადებული და აღზრდილი. მის წინაპარ ქართველნი

სპარსეთში დაბადებულან, აღზრდილან და იქვე დახოცილან, მაგრამ თავიანთ სამშობლო ენა არ დაუკარგავთ და მცირედ საქართველოს ხსოვნაც ჰქონიათ; საქართველოს და ქართველ ხალხის შესახებ თურმე ზღაპრებსაც ლაპარაკობენ. ესენი ხშირად ნახავენ ხოლმე აქა იქ სპარსეთში მცხოვრებ სომხებს და მათ საქართველოს შესახებ ამბებს ჰკითხავენ, თუ ვინმე რამეს იტყვის, იმას სულ განაბული ისმენენ. მაგრამ საუბედუროდ სომხებში ხშირად ვერ ნახვენ ისეთს პირებს, რომ მათ საქართველოზე რამე ცნობები იცოდნენ. ათამ ონიკაშვილი იყო სპარსელ ქართველთ ერთი შეძლებულ ოჯახის შვილთაგანი. ამას თავიანთ ოჯახში ხშირად შეიტყვია ხოლმე თავის მშობლებისაგან, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ქვეყანა საქართველოა, ჩვენ აქ მალვად ვართ მოყვანილნიო. ჩვენი ძველები იტყოდნენ ანდაზად ხოლმეო, რომ „ეგები ეცადოთ შინისაკენ დაბრუნებასაო, ბევრი კაცი და დედაკაცი სულ ამას გვავედრიდნენ, რომ ეცადეთ აქ არ დარჩეთ და საქართველოში დაბრუნდეთო“.

იტყოდნენ თურმეო, რომ მოხუცებულნი ცხარედ სტიროდნენო, რამდენჯერაც გაიგონებდნენ საქართველოს, იმდენჯერ წუხილს და ნატვრას დაიწყებდნენო, ნეტა საქართველო გვაჩვენა, ნეტა ჩვენ აქ ვინ გადმოგვასახლაო. ჩვენს ცოდვაში ვინ ჩადგა, რას გვემართლებოდნენ, რომ ჩვენს ძმებს დაგვაშორეს და აქ მოგვიყვანესო; ყველა ამბობს თურმე, რომ ჩვენ აქ შაჰაბაზმა მოგვიყვანაო. შაჰაბაზი მათში სახელოვნებს, საქართველოს საქმეების დამამცირებლად მხოლოდ ამას აღიარებენო. სპარსელ ქართველ მოხუცებულთა ლაპარაკს პატარა ათამ ონიკაშვილი ყოველთვის სიამოვნებით

ისმენდა და ამას ძრიელ უყვარდა საქართველოს მეფეების ამბების გაგება. ყოველი ამბავი ამას ცხადათ ახსოვდებოდა და შემდეგ ამ ამბებს თავის ტოლს მეგობრებს უამბობდა ხოლმე, რამდენიმე ხნის შემდეგ ათამ ონიკაშვილი მისცეს თავიანთ სოფლის მარტყოფის სასწავლებელში შეგირდათ. სასწავლებელი ძველადგანვე დაუარსებიათ მარტყოფში. სპარსებს ამ სასწავლებლის მოხებით გაუვრცელებიათ ქართველებში სპარსული ენა. ამ სასწავლებელში ათამს რამდენიმე წელიწადს დარჩა, აქ შეისწავლა არაბული ანბანი, სპარსული ენა, საჭირო საკითხავი ლოცვები და უკანასკნელ როცა მოღონიერდა, სკოლიდან გავიდა, 20 წლის ვაჟკაცი იქნებოდა, რომ მარტყოფიდან თავრიზში გადასახლდა და იქ საქმეს ეძებდა. ამან იპოვა ერთი ინგლისელი ინჟინერი, რომელთანაც მოსამსახურედ დადგა. ამ ინგლისელთან ათამ ონიკაშვილი ჩინებულად ასრულებდა თავის მოვალეობას. ინჟინერი გაკვირვებული იყო მასზე, რომ მე ასეთი ჩინებული ბიჭი ვიშოვნეო სპარსეთში, წერა-კითხვის მცოდნე, მასთან გონებიანი და თანაბარი ერთპიელ მოსამსახურებისა, ინჟინერმა სპარსული ენა იცოდა. ამან ათამ ონიკაშვილს თავის ვინაობა ჰკითხა, ამანაც ყველაფერი უამბო: ინჟინერი გაკვირდა, ამან სთქვა: კიდეც მიტომ გამოვიდა ასეთიო, რომ ეს სპარსთა შთამომავლობის არ ყოფილაო. ინჟინერმა უთხრა, რომ მე რუსეთისკენ მომიხდება მოვლაო და თუ გინდა ბაქომდის ჩემის ხარჯით წაგიყვან, და მერე იქიდან შენ შეგეძლება, რომ საქართველოში ადვილად ჩახვიდეო. ათამ ონიკაშვილს გაეხარდა, წამოსვლის პირობა მისცა. რამდენიმე ხნის შემდეგ ინჟინერი ბაქოში წამოვიდა, ათამ ონიკაშვილი სიამოვნებით გამოჰყვა თანა,

ესენი მალე ბაქოში მოვიდნენ, ინჟინერი კასპიის ზღვით გაემგზავრა და ათამ ონიკაშვილი კი საქართველოში გამოემგზავრა, დიდი ხნის წადილი აუსრულდა ამ პირს, მალე მოვიდა თავის სამშობლო ქვეყანაში, მან მალე ნახა ის წამებული საქართველო და ქართველი ხალხი, რომელ ქვეყნისა და ერსაც მისი მშობლები 200 წლის განმავლობაში უკან მოსტირიან მწარე გულით და ცხარე ცრემლებითა, თვით ათამ ონიკაშვილიც არა მცირედ ელოდობდა თურმე საქართველოზე, ამას უფრო ენატრებოდა საქართველოს და ქართველი ხალხის ნახვა, ვინემც მის მშობლებს, აგერ აღუსრულდა მას წადილი და ბევრის შრომის და მეცადინეობის შემდეგ მოვიდა თვის სამშობლო ქვეყანაში, თავის ტურფა და მტერთაგან წამებულს საგმირო საქართველოში. ათამ ონიკაშვილის მოსვლის ამბავი თბილისში მალე მთელმა ქართველობამ შეიტყო. ბევრს დიდი გვარის კაცს მოუნდა ამ ძვირფასი სტუმრის ნახვა. მალე მიიხმეს თვისკენ. ნახეს ყველა ჩვენ საპატიო პირებმა: დიმიტრი ბაქრაძემ, იაკ. გოგებაშვილმა, აკაკიმ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა, დიმიტრი ყიფიანმა, გრიგოლ ორბელიანმა და პეტრე უმიკაშვილმა. ამათ დაუწყეს სპარსეთში მყოფთ და დაღუპულთ ქართველთა შესახებ ცნობების გამოკითხვა და საუბარი. ათამ ონიკაშვილმაც დაიწყო საუბარი და ყველაფერი რაც კი იცოდა სპარსელ ქართველთ ცხოვრების შესახებ დაწვრილებით უამბა, მისმა საუბარმა ბევრს ქართველს გაახსენა საქართველოს შავი და ბნელი დღეები, ბევრს ქართველს ატკოდა გული, ბევრი ქართველი ატირდა მისის საუბრით, ბევრს გადაეშალა თვალთ წინ საქართველოს მწარე დღეები და ის წუთები, როცა ათამ ონიკაშვილის წინაპრებს თავიანთ საყვარელ

საქართველოს აშორებდნენ, როცა იგინი სპარსეთში მიჰყვანდათ და სამუდამოთ ასალმებდნენ ქართველთა ცხოვრების მხარეს, ქართველებთან კავშირს, ლხინს და ათას ნაირ ვაების დათმენას. განა იქნება ისეთი ქართველი, რომ იმან ათამ ონიკაშვილის წინაპართ ქართველთ ამბები შეიტყოს და იმავ წუთს გული არ აუტირდეს, განა შეიძლება მოიძებნოს ისეთი ქართველი, რომ მის გული არ შეაწუხოს სპარსეთში მყოფთა დატანჯულთ ქართველთა ცნობებმა, კიდევ განვიმეორებთ, რომ არა გვგონია, და თუ იქნება ისეთი ვინმე, რომ მის გულზე ამ უბედურ ხალხის ცნობები ვერაფერ გავლენას მოახდენს, ის სხვა სჯულის და ჯიშის ქართველი იქმნება. არამც თუ ჩვენ, არამედ ხშირად ტიროდა თვით ათამ ონიკაშვილი და ატირებდა მრავალ ქართველთაც. მის საუბარს ისეთი გავლენა ჰქონდა დიმიტრი ბაქრაძეზე, რომ ამან აღარ იცოდა რა ექმნა, ამის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ათამ ონიკაშვილი სპარსელ-ქართველთათვის ძალიან გლოვობდა მათი ცხოვრებისათვის დიდათ შესტკიოდა გული და მწარედ სწუხდა. სწუხდა მით უფრო, რადგან ქართველ ერის მდგომარეობას ბეჯითად ადევნებდა თვალთ და ყურს და ქართველ ტომის შემცირების მიზეზსაც კარგათ გრძნობდა, სწუხდა მწარედ. რადგანაც საქართველოს სპარსთა ბევრი შვილები მოსტაცეს და ვინც წაიყვანეს იმათ უმეტესი ნაწილიც გაწყდა და დაილუპაო. აქ ქართველთ მოაკლდნენ, ქართველნი შემცირებულან და იქ კიდევ მათ ვერ იხეირეს და მოისპნენო. რამდენჯერ უთქვამს ასე: ახ, ჩემო მეგობარო, განა მოვესწრები იმ დროს, რომ მე და შენ ან კიდევ სხვა ქართველნი სპარსეთში წავიდეთ და ჩვენი დალუპული ძმები ვნახოთ.

გავიცნათ მათი ავი და კარგი და ყოფა-ცხოვრება. მაგრამ მაშინ ქ. ი. 1877 წელს, ჩვენ სპარსეთში წასვლის თავი გა-არა, საქართველოშიაც არ გიყავით და აბა იქ წასვლას ვინ იფიქრებდა, თუმცა ნატვრა კი დიდი გვქონდა. ეხლა რომ საწყალი ათამ ონიკაშვილი ცოცხალი იყოს, სწორედ აღტა-ცებული იქნებოდა მით, რომ ძლივს ეღირსა მის ნატვრას შესრულება და სპარსეთში წავიდა საქართველოს ძვირფას მოღვაწე შვილთაგანი ბ. ვლადიმერ აღნიაშვილი. იგი თამამად ეტყოდა ასე.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო ვლადიმერ, მადლობა ღმერთს, რომ მოესწარ ქართველს, რომელმაც ისურვა ჩვენსკენ წა-მოსვლა და დაკარგულ ძმების გაცნობა.

ეს კაცი ბევრს ცნობას მისცემდა ქართველ მოგზაურს, იგი უჩვენებდა მთელ სპარსეთის ადგილებს, აჩვენებდა იმასაც, სად კი ქართველთა კვალია დარჩენილი, ამას გარდა სპარსეთის ენითაც დიდად დაეხმარებოდა ჩვენი ტომის საქმეს და იგი თარგმნებით ბევრს რასმეს შემოიტანდა ჩვენს მწერლობაში, მაგრამ ეს არ იქმნა ასე, ჩვენ ვერ ვისარგებლეთ იმით. ათამა თავისუფ-ლად ამბობდა ხოლმე „წყეულ სპარსთა და ოსმალთა მეო-ხებით დიდი ძალი ქართველობა დაღუპულა. მაგალითს გეტყვით, რომ ძველად არ ყოფილა სპარსთა დიდი ოჯახი, რომ იმ ოჯახში ქართველთა შვილების 2 მაინც არ ჰყოლო-დეთ მონებათ. ასე დაბნეულ, დარიგებულ და დაკარგულ ქართველთა დაკარგეს ქართული ენა. ვინც დარჩნენ და შეი-ნახეს დღევანდლამდე, ისინიც დაჰკარგავენ ამ 100 წლის განმავლობაში, თუ ამ საბრალოებს არაფერი ეშველათო, თუ რაფერ უნდა ეშველოს იქ, რა უყოთ? გადმოსახლებას

უნდა ვეცადოთ, მეტი გზა არ არის, მე დავიწყებ თხოვნას და იმედი მაქვს, რომ მრავალნი ქართველნიც დამეხმარებიან ამ საქმეში, ეს ამბები ვინც კი გაიგო, ყველას ესიამოვნა, ყველა აღტაცებული დარჩა, ხოლო ვისაც ამ საქმეში შეეძლო მონაწილეობის მიღება და ვისაც უხაროდა ამ კაცის ლაპარაკი, ეს გამოჩენილი ქართველი პოეტი გენერალ გრიგოლ ორბელიანი კი შორს დადგა და არსად ერთი სიტყვა კი არა სთქვა, ვერავითარი წინამძღოლობა გაუწია ათამ ონიკაშვილს, ათამ ონიკაშვილი გადაწყვეტით ასაბუთებდა, რომ დღეის შემდეგ ქართველნი სპარსეთში ვეღარ შეინახვენ თავსა, რადგან თმენას და ბრძოლას სპარსებთან მობეზრებულნი არიანო. აი რა გვიამბო თავიანთ სოფლების შესახებ.

ისპაანიდან ჩრდილოთ დასავლეთისკენ, ქალაქ მირაზის მახლობლათ, ხუთი დღის სავალზე, ყულეკის წყლის ხეობაზე, მდებარეობს რამდენიმე სოფელი ქართველთა, რომელ სოფლის მცხოვრებნიც ქართველნი არიან და დღევანდლამდე აქ ქართულად ლაპარაკობენ, ქართული ენის გარდა მათ სხვა ენა სულ არ იციან. წვრილ სოფლებთ შორის, გამოჩენილ სოფლებათ შემდეგი სოფლები ითვლებიან, სადაც მთლად ქართველები ცხოვრობენო.

| | | | |
|---|---|---|---|
| მარტყოფი | — | 1000 | კომლი |
| აფუსი | — | 800 | კომლი |
| თელავი | — | 900 | კოღლი |
| ტაშკენაში | — | 500 | კომლი |
| ახჩა — | — | 50 | კომლი |
| ბოინი — | — | 60 | კომლი |
| მელაანი — | — | 50 | კომლი |

მუკუზანი — 100 კომლი
მაჩხანი — — 200 კომლი
ზემო-აკურა — 30 კომლი
ქვემო-აკურა — 20 კომლი.

გილანის ზღვისკენ, თავრიზსა თუ თეირანს აქეთ, გზაში არის შემდეგი სოფლები:

პატარმეული — 30 კომლი
ლილო — — 40 კომლი
ნოიოო — — 30 კომლი

აქ მოხსენებულ უკანასკნელ სამი სოფლის შესახებ ათამ ონიკაშვილის გარდა, მე მიამბო ერთმა მოხუცმა საქართველოს სომეხ ვაჭარმა, რომელსაც მთელი სპარსეთი დაუვლია, ეს სოფლები ენახა და იქ რამდენიმე დღეს ეცხორნა და ქართველებთან ბევრი რამ ესაუბრა, ამ სოფელში ალექსანდრე ბატონიშვილსაც ხშირად უცხოვრია ხოლმე. სოფლის მცხოვრებნი დიდის პატივით ეპყრობოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს და ამ ბატონიშვილის შესახებ ბევრი ამბებიც ყოფილა ზეპირად დარჩენილი. ამ სოფლებში დღევანდლამდე ქართულად ლაპარაკობენ და საქართველოს შესახებ ბევრი ამბებიც იციან. ათამ ონიკაშვილის სიტყვით, დღეს მთელ სპარსეთ ქართველთ რიცხვი 30 ათასამდე უნდა იყოს. ზოგ მოხუცთაგან გაუგონია ამას ის ამბავიც, რომ ვითომც სპარსეთში აქა იქაც არიან ქართველები, მაგრამ მათი ბინადრობის და სოფლების ცნობები ქალაქ ადგილებში არავინ იცის, რადგანაც იგინი სპარსეთის შესანიშნავს ქალაქებისაგან ძალიან შორს სცხოვრობენო, უფრო ისეთ დაშორებულ ადგილებში სცხოვრობენ, რომელ ადგილებიც ძველ

დრომდე სპარსეთისათვის უხმარი ყოფილა. ან კი რიცხვი გადარჩა იმ დიდ რიცხვს ქართველთა, რომელნიც საქართველოდამ სპარსეთში იყვნენ გადასახლებულნი 400 წლის განმავლობაში და რომელთა რიცხვიც ისე დიდი იყო, რომ XVIII საუკუნეშიც კი მთელი სპარსეთი სავსე იყო ქართველებითა. სპარსელ ქართველთ კარგათ ახსოვთ თურმე, რომ ისინი ქართველთ შთამომავალნი არიან და საქართველოდამ გადმოსახლების შაჰაბაზს. ამბობენ თურმე, რომ როცა ჩვენი ძველები მოუყვანიათ და დაუსახლებიათო, მაშინ ამ ადგილებში ხალხი არ ყოფილაო და ქართველები სადაც დასახლებულან, იმათ თავიანთ ახალ შენებისთვის თავიანთ ძველი სოფლის სახელები დაურქმევიათო. მაგალითებრ: სოფელ მარტყოფიდგან გადასახლებულნი ერთად დასახლებულან და ამათ თავიანთ სოფლისთვის მარტყოფი უწოდებიათო. ასევე სხვა სოფლებსაო. ათამ ონიკაშვილი იტყოდა სოლმე: ჩვენ არ ვიცით თუ ჩვენი სოფლის სახელების მქონი სოფლები უნდა იყოს საქართველოში თუ არა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ უნდა იყვეს, რადგანაც ამის შესახებ ამბები ჩვენის ძველებისაგანაც შემიტყვიაო. ჩვენში ამბობდნენ სოლმე, რომ როცა ქართველები დაასახლეს ამ ხეობაში, მაშინ ქართველთ დიდი ხანი შეიმაგრეს თავი და არ გათათრდნენო. იმათ დიდი წვალება გამოიარეს, დიდათ სტანჯავდნენ და აწვალებდნენ იმ ქართველებსაც, რომელნიც სპარსელ დიდი კაცების სახლებში იყვნენ მონებათ დარიგებულნიო. ხშირად ამ სპარსელ ქართველთ შვილებით ვაჭრობაც ჰქონდათ გამართული, ჩვენ ტანჯვა წვალების და შვილების ტაცობას რიცხვი არა ჰქონდაო. მართლაც და ძველად სპარსეთში ქართველნი დიდ

ტანჯვაში ყოფილან, ამას ამტკიცებს პიტერო დელავალის ცნობა საქართველოს შესახებ, რომელ ცნობაც იმავ დროსვე არის დაწერილი. აი რას მოგვითხრობს: XVII საუკუნეში, სპარსებმა ძალად მოაცილეს ქართველები თავიანთ სახლ-კარსა, სამშობლოს და წაიყვანეს, ადვილი წარმოსადგენია თუ რა არეულობა იქნებოდა მთელის ქვეყნის გადასახლების დროს, მათ შორის იყვნენ მამაკაცები და დედაკაცები, თავადნი, აზნაურები და გლეხები, დიდი და პატარა, ყოველ წლოვანობისა, ყოველ წოდების და ყოველ მდგომარეობაში მყოფი, ესენი თავიანთ ბარგით, რამდენის წამოღებაც შეეძლოთ, დააყენეს ჯვარის წინ და საჩქაროთ წაიყვანეს სპარსეთში და მიუჩინეს ის ადგილები, რომლებიც უფრო დაშორებულნი იყვნენ საქართველოს, სადაც უფრო ეწირებოდათ ხალხის დასახლება. აი საიდგან არის ის, რომ დღეს საკუთრად თქმული სპარსეთი მაგალითად ქირმანში, მიზანდარნი და ყასპის ზღვის ნაპირები სავსე არიან ქართველებითა და ჩერქეზებით. ფარსისტანტი და მოზანდარანში ამათ არამც თუ სოფლები, დაბებიც კი უწირავთ, არამედ მთელი ქალაქებიც, იქ მათი მეტი არავინა სცხოვრობს. გარდა ზემოხსენებულ ქართველების, რომელნიც სპარსეთში სცხოვრობდნენ,. თავისუფლად არიან იმისთანანიც, რომელნიც მონად ჩაუვარდნენ სპარსებს იმ არეულობის დროს, რომელიც მოხდა ,სპარსეთის შემოსევის და ქართველთა სამშობლოდან ძალდატანებით გადასახლების დროს, ამათი რიცხვი დღეს ისე დიდია, რომ არ იპოვება, არც ერთი სახლი სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთანა ქართველებით, მამაკაცებით და დედაკაცებით, იქ არ არის იმისთანა დიდი კაცი, რომ არ სურდეს, რომ ყველა მისი

ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ ესენი მშვენიერნი არიან, თვით ხელმწიფესაც გავსებული აქვს თვისი სასახლე მათის კაცებითა და ქალებითა, ამათ გარდა სხვებს თითქმის არ იმსახურებს. დიდი უძლურება მოჰყვა ამ ქართველთ გადასახლებას, დიდი გაჭირვება, ცრემლის ღვრა და სხვანი.

საქართველოდამ ქართველებს წაყვანა გამოეცხადათ, ყველა სოფლის მცხოვრებნი თავ-თავიანთვის შეგროვდნენ და ისე განემზადნენ წასასვლელად. ზოგიერთი ადგილები მაშინ დაიცალა ქართველებისაგან. სოფლის მცხოვრებთა რაც რამ ჰქონდათ, ყველაფერი შეკრიბეს და თან წაიღებათ განამზადეს. საეკლესიო ნივთებიც კი შეჰკრიბეს, ვისაც ურმები ჰქონდათ ბარგი იმაში ჩააწყვეს და ვისაც ცხენები, ისინი ცხენებით მიდიოდნენ, ბევრს აქედან მღვდლებიც გაჰყვნენ. მღვდლებმა იქ კარგა ხანს შეინახეს თავი, ესენი ქართველებს თავიანთ სახლში ალოცებდნენ, რაც ხანი გადიოდა, მით სამღვდელოთ რიცხვი მცირდებოდა და ქართველებში თათრობა ვრცელდებოდა, თავად აზნაურებმა ერთი მალე მიიღეს მუსულმანობა და გლეხნი კი არ შერჩებოდნენ, იგინი მალაზე იდგნენ და არ თათრდებოდნენ, ბოლოს ის დაეცნე ცხოვრებისაგან და ისე გალატაკდნენ, რომ ამ სიღატაკისაგან თავი ეხსნათ, მიტომ მეტი გზა აღარ ჰქონდათ, უნდა გათათრებულიყვნენ, გათათრდნენ ძნელად, მოისპო მათში ქრისტიანობა. მინამ გათათრდნენ ზოგნი კი კათოლიკობას შეუერთდნენ, ზოგი სომხის ეკლესიას და ზოგი აისორსას. სომხის ეკლესიას ვინც შეუერთდა, მან დაიწყო სომხის ალსარება, რამდენიმე ხნის განმავლობაში ესენი დათესავდნენ ნამდვილ სომეხთა, ამათში გამართა ხშირი მა-

ლა მოსვლა, ქართველთა შეითვისეს სომხური ენა, მათ საეკკლესიო ენად სომხური ენა სცნეს, ქართველთ ეს და-ლათაც ენატრებოდათ, რადგანაც სომხები ქრისტიანები იყვ-ნენ, მათ თავიანთი ეკკლესიები ჰქონდათ და ქრისტიანურ წესებსაც ასრულებდნენ, ქართველთ ოღონდ კი სადმე ქალაქში ქრისტიანთ ეკლესიები შეხვდროდათ, თორემ ესენი მაშინათ-ვე უერთდებოდნენ საიდუმლოდ იმ ქრისტიანთ საწმუნოებას, სადაც რა ეკკლესია იქნებოდა. სომხთ ეკლესიის ერთობის მეოხებით ქართველთა დაკარგეს თავიანთი დედა ენა და იგი-ნი ჩამომავლობით მთლად გასომხდნენ, დღეს სპარსეთში კა-ცი ხშირად ნახავს ქართველ გვარის და შთამომავლობის კაცს, რომელიც დღეს გვაროვნობით სომხობს. ზოგთ კი გაუგო-ნიათ, რომ იგინი ქართველთ შთამომავალნი არიან. ასეთსავე მდგომარეობაში ჩავარდნენ ის ქართველები, ვინც კათოლიკო-ბას და აისორობას შეუერთდა. სპარსელ ქართველნი, ვინც კი არიან დღევანდლამდე ქართულის ენით დარჩენილნი, სცხოვ-რობენ ქართულად, მათი ტანთსაცმელი ქართულია, ვინემ სპა-რსული, ქართველი ქალებიც სხვაფერ იცომენ ტანთსაცმელს, ვინემც სპარსელი ქალები. სპარსელ ქალებთან ესენი იმითაც განირჩევიან, რომ ესენი სახეზე პირბადეს არ იფარავენ. კაც-სა და ქალს მაშინათვე შეატყობენ მოგზაურები, ან უცხო მნა-ხველნი, რომ ესენი სპარსები არ უნდა იყვნენო. პატარა გო-გო-ბიჭებიც კი თავიანთებურ ტანთსაცმელს იცომენ და არა სპარსული. ქალისა და კაცს შორის დაახლოვებული კავშირი სუფევს. ქართველები ერთმანეთს კარგათ იცნობენ, სადმე რომ ნახონ მაშინათვე შეატყობენ ისინი, ქართველები ან გურჯები არიან და მაშინათვე მიესალმებიან, ლაპარაკს გამართავენ და

ერთმანეთ ამბებს მოუყვებიან. სპარსელ ქართველ ქალები ძრიელ მხნე და ახოვანი მუშაკნი არიან. ესენი ქმრებს დაუ[illegible]მელად შველიან მუშაობაში, არასოდეს საქმეს და მუშაობას არ ერიდებიან. ქმრებს ყანაში და სხვაგან თან მისდევენ სამუშაოდ, ხშირად თვით ქალები მუშაობენ მარტო, ქართველთ ქალები ყანაში და ბაღში მუშაობით გაკვირვებულნი არიან სპარსელი ქალები და კაცები. ქართველი ქალები ყანაში და ბაღში მუშაობას გარდა სახლ-კარსაც ჩინებულად უვლიან, სხვა და სხვა ხელსაქმის კეთებაც უკეთ იციან, ვიდრე სპარსელებმა. ამათი ასეთი ღირსება ყველას კარგათ ესმით და ამიტომ ყველას წინაშეც ქალები თამამად იქცევიან და თავიანთ ღირსებას ყოველთვის მაღლა აყენებენ, მათ იციან, რომ ისინი პატივისცემნი არიან, სპარსებიც ძალიან ეტანებიან მათ ქალების შესართველად, მაგრამ ესენი არ მისდევენ მათ. იშვიათად.

ქალებთან მუშაობაში კაცებიც კარგად მუშაობენ, სიტყვა რომ ითქვას, გაცილებით კარგად და გმირულად. სწორედ კაცების გმირული მუშაობა გამხდარა ქალების სამაგალითოდ, რომ ესენიც შესჩვევიან მუშაობას, თორემ კაცები რომ გადამეტებით მხნე მუშაკნი არ ყოფილიყვნენ, მაშინ ქალები ვერ შეეჩვევოდნენ მუშაობასაო, მაგრამ კაცების მუშაობას უნდა შეეჩვიათ იგინი მუშაობას, ან სპარსეთში გადასახლებამ ამბებს, უბედურ ყოფა-ცხოვრებას და სიღატაკესაო. ქართველებს თავიანთი სოფლები მშვენივრად აქვთ გაკეთებული, და გალამაზებული. მათი სოფლები კახეთის სოფლებსა წააგავს, სახლები მშვენივრად ნაკეთები, გარშემო სულ ბაღებით სავსე, სპარსელებში კი ასეთი სოფლები იშვიათია. სპარსთა სოფლები რომ ნახოს კაცმა, შიგ სახლებს ვერც კი შენიშნავს,

რადგანაც იმათში სულ მიწურ სახლებს აკეთებენ, როგორც ჩვენში იციან; თბილისის ახლო-მახლო სოფლებში. მევენახობას ქართველნი უფრო უკეთ მისდევენ, ვიდრე სპარსნი. ვაზის გაშენება და კეთება კარგად იციან, მთლად ბაღები ქართულად აქვთ ნაკეთები და ბაღებში ყველა ნაირი ხილი მოიპოვება. ბაღებსა და ვენახებს გარშემო ღობეები ავლიათ, სპარსებმა ესენი იშვიათად იციან. საქონლის მენახვასაც უხვად მისდევენ, ინახავენ ძროხას, ხარს, თხას, ცხვარს და სხვანი. კარაქის, ყველი და ერბოს კეთებაც ძალიან იციან; უფრო ქართულად ვინემც სპარსულად, პირუტყვის მოვლა და წამლობაც ძველებურად იციან, როგორც მათ მამაპაპას გაჭყოლიათ აქვდათ. ხვნა თესვასაც უხვად მისდევენ. ხვნა-თესვის მუშაობა სპარსელებზე გაცილებით უკეთ აქვთ შესწავლილი და წინ წაწეული. სპარსელ ქართველთ სახლში ცხოვრებაც მეტად სუფთად უყვართ, ოთახები ყოველთვის მორთულია. შიგ ქართული ტახტი და ავეჯეულობა. სარეცხი და დაგვრებაც ხშირად იციან, საჭმლის კეთებაც ქართულად არის, თუმცა სპარსულიც შეუსწავლიათ. პურის ცხობაც ქართულადა აქვთ, თონეები აქვთ გამართული და პურს ქართულად აცხობენ, გამოცხობის დროს გუნდებს ზეიდან ჯვარს უსმენ, ეს მამაპაპათაგან დარჩომიათ სამახსოვროდ, ზამთრულის ხილის გახმობასაც კარგად მისდევენ, ზამთარში საჭირო საჭმელ ბალახებით, კაკლით, ლობიოთი და სხვა რამეებით სახლს ავსებენ, პურით და სურსათით ყოველთვის სავსენი არიან ესენი, წლის გასვლამდე ამათ არაფერი დააკლდებათ.

პირუტყვის შესანახი ბოსელიც იციან ჩვენებურად. სპარსებში კი ეს ასე არ არის, უმეტეს ალაგს სოფლებში სახლი

პირუტყვებთან სცხოვრობს ზოსლებში, ქართველთ კი ესენი ცალკე აქვსთ, საცხოვრებელ სახლებთან მოშორებით, ზოსლის გარდა, საზმლის გეთვისაც მისდევენ და საზმლებიც ქართულად აქვთ, კალო, გუთანი, სახნისი და სხვანი სულ ქართულად იციან, ლეწვა, ანიავება, ფარცხვა, და თოხვნა ქართულად აქვთ. ნამეტურ მათებური გუთანი აქაურ გუთანს მოამაგონებსო და მასზე ქართული „ჭოროველავო". ქართული სიმღერები დღევანდლამდე ახსოვთ თურმე და მღერიან თავ-თავის დროსა და თავის შესაფერად. მოკლედ რომ ითქვას ქართველები სპარსელებზე ბევრად მაღლა სდგანან, მაღლა სდგანან გონებით, ხელ-საქმით, მუშაობით და ცხოვრებით, აღებ-მიცემობაც არის მათში გავრცელებული და ესენი ბევრად სინიდისიერად ვაჭრობენ, ვიდრე სპარსნი. ქართველები ზნეობითაც მაღლა სდგანან სპარსელებზე. ქართველთა ნათესაობაც ერთმანეთში აქვთ, გათხოვებს მხოლოდ ერთმანეთში იციან, ქორწილის გადასხდაც ქართულად იციან, სიმღერები და კიდევ სხვა სულ ქართულადა აქვთ. ორი ცოლის შერთვა იშვიათია. ქართველი ქალი მეორე ცოლად არ გაჰყვება. ვინც ორ ცოლს შეირთავს ის ძრიელ სძულთ მათ და მას სახელად „ლიუტს ეძახიან" და ლიუტი კიდევ სამარცხვინო სახელს ნიშნავს. ქალებსაც დიდათ ეძნელებათ და ერიდებათ ასეთ საქმეების შესახებ საუბარიო. ეს არის იმის მიზეზები, რომ სპარსელ ქართველნი ერთმანეთში არიან დანათესავებულნი და ისე მჭიდროთ არიან შეკავშირებულნიო. სპარსელ თათრების ძრიელ შურთ ქართველთ რიგიანი ყოფა-ცხოვრება. სპარსთა ყარაულები ხშირად ეცემიან საბრალო ქართველთ სოფლებს და უწყალოთ აოხრებენ, ვაზებს ძირში უჭრიან, ვენახებს ჰკაფავენ, ღობეებს

ვლეჯენ, მხებს უწვავენ და პირუტყვსაც ართმევენ ხშირად. მას გარდა ხშირად სახლებსაც უწვავენ თურმე და შვილებსაც კი სტაცებენ, რადგანაც სპარსელ ქართველთ ცხოვრებას მრიელ შურით, ნამეტურ გამშვენებული სოფლების მდგომარეობა, და ქართველთ კარგი ჭამა, სმა და ცხოვრება. შურით და ეჯავრებათ ესენი მით უფრო, რადგანაც სპარსნი ქართველს უწოდებენ ქართველებს, და იგინი სულ სხვა ტომის კაცად მიახნიათ.

საუბედუროდ სპარსთა მთავრობაც ერთობ ცუდათ ეპყრობა ამ ხალხს, რაღაც შურით და მტრობით უმზერის ქართველთა ცხოვრებას, ჯარში ამათგან ჯარის კაცნი ერთობ მალმალე მიჰყავთ, ისე რომ ოჯახში წვერს აღარ სტოვებენ, რომ ჯარში არ გაიყვანონ და არ იმსახურონ, სპარსნი კი ასეთის გარდასახადისაგან თავისუფალნი არიან. სპარსეთის ასეთ საქციელზე ქართველები ერთობ სწუხან, მაგრამ რას იზმენ, ამათ ჩივილს ვინ შეიწყნარებს. სპარსნი ამათ პირდაპირ ქართველებს „გურჯებს" ეძახიან და გურჯები კი ყველას საერთოდ სძულთ. სწორედ ესეთივე დევნა და წვალება გამხდარა ათამ ონიკაშვილის მშობლების მიზეზათ, რომ ათამ ონიკაშვილი საქართველოში წამოვიდა. ქართველებმაც კარგად იციან თურმე, რომ ისინი ქართველები არიან, სადაც კი ვინმე შეხვდებათ ამათ, ყველგან თავისუფლად ლაპარაკობენ, რომ ჩვენ ქართველები ვართო. ესენი ყველანი შეის სარწმუნოებას ეკუთვნიან და მათი ხოჯები, მოლები, ყადები, იმამები და სხვებიც სულ ქართველები არიან, ქართულად მოლაპარაკენი. მოლებმა და ხოჯებმა უფრო კარგად იციან, რომ ისინი ქართველთ შთამომავალნი არიან და მათი ძველები იქ საქართვე-

ლოდამ არიან მოსულნი. მათში ხშირად ლაპარაკობენ, რომ საქართველო მშვენიერი ქვეყანა არისო. ქართველნი როცა საქართველოში ნამყოფ სპარსებს ნახვენ მაშინათვე ჰკითხავენ საქართველოზე ცნობებს და მათი სმენით სტკბებიან. ქართველი მოხუცებულნიც ხშირად მოუთხრობენ ხოლმე ახალგაზდებს თავიანთ ძველების ამბებს, საქართველოს შესახებ ზღაპრებს. ათამ ონიკაშვილი იტყოდა ხოლმე, რომ ეს ძველი ამბები და ზღაპრები საქართველოს შესახებ ღირსია შეკრებისა და დაწერისაო, თუ იქ დაბრუნება არ მომიხდა, მაშინ ზოგიერთებს მე მაინც დავწერ აქაო. ათამ ონიკაშვილი თბილისში მალე დახელოვნდა, მთელი საქართველოს ავი და კარგი შეიტყო, ამის დაწინაურებას ის უფრო უწყობდა ხელს, რადგანაც ეს მოსამსახურედ დადგა თბილისის სემინარიაში და აქ ამას ზოგიერთი კეთილ-საიმედო სემინარიელები ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ, წერა-კითხვასთანავე ეს წიგნების კითხვასაც შეეჩვია და საქმე იქამდის მივიდა, რომ მალე ქართული გაზეთების კითხვაც დაიწყო. ,,დროება" და ,,სასოფლო გაზეთი" მუქთად ეძლეოდა, აგრეთვე სხვა და სხვა გამოცემანიც. ათამ ონიკაშვილი მალე ისე დახელოვნდა მწერლობაში და ქართულ კითხვაში, რომ თითონაც მოჰკიდა კალამს ხელი და დაიწყო სპარსელ ქართველთ ზღაპრების წერა. ზღაპრებს სწერდა სპარსულ მეზღაპრეთა მდიდარის ფანტაზიით და ენასაც ყოველთვის ამჭევრმეტყველებდა. ერთი ამის ზღაპარი დაბეჭდილია ,,დროების" ნომერში, არ ვიცი კი რომელში, თორემ ამ ზღაპარს მთლად მოვიყვანდი აქ, მაინც აქ მოვიყვან მის შინაარს დასამტკიცებლად, თუ ეს კაცი რამდენად დაუახლოვდა ჩვენს ვითარებას. ეს ზღაპარი სპარსელ ქართველებში

არსებობსო. ერთ მშვენიერ, მეტად ლამაზ სამოთხის მზგავს ქვეყანაში, ყოველ ნაირი ყვავილნი და ხეხილნი იზრდებოდნენ. ერთი სიტყვით დედამიწის ზურგზე არ იყო ისეთი რამ ყვავილი, რომ აქ არ ყოფილიყოს. არ იყო მხოლოდ კომბოსტო. მშვენიერ ქვეყნის პატრონთ ამაზე დაიწყეს დრტვინვა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა ნაირი ყვავილნი და ხეხილნი არიან და კომბოსტო კი არაო. ამათ განიძრახეს სხვა ქვეყანაში წასვლა და კომბოსტოს თესლის შოვნა. მალე წავიდნენ. იარეს რამდენიმე დღე და ერთს ქვეყანაში იშოვნეს კომბოსტოს თესლი; მოიტანეს ეს და თავიანთ ვენახში დასთესეს, კომბოსტო მალე ამოვიდა, და გაიზარდა; ამან გაშალა თავისი დიდრონი ფოთლები და მის მეოხებით დაჩრდილა მრავალი ყვავილი, უმზივ უსხივოთ დასტოვა ყველანი. მშვენიერნი ყვავილნი მზის ხილვას სამუდამოთ მოაკლდნენ და იწყეს ჭკნობა, და ლპობა. მებაღეები ამის ხილვისაგან ძრიელ შეშინდნენ, მაგრამ რას იზამდნენ, კომბოსტოს ძალა უკვე გამოჩენილიყო, მათ დაუწყეს კომბოსტოს ძირიანად ამოგდება, მაგრამ ძირი ვეღარსად უპოვეს, ძირი აქეთ იქით გაიშალა. მთელს მხარეში მოფენილიყო, ვეღარა დააკლეს რა და მის მეოხებით დაჭკნენ მრავალნი მშვენიერნი ყვავილნი. „დროებაში“ მხოლოდ ეს ზღაპარი დაიბეჭდა, სხვა ზღაპრები არ ვიცით რა უყო. შემდეგ ჩვენ ისე დავშორდით ერთმანეთს, რომ მის სიკვდილის შემდეგ მე ვეღარაფერი გავიგე, თუ სად რა ზღაპრები დარჩა მას. ათამ ონიკაშვილს ისე მოუთბა გული, ისე შეუყვარდა საქართველო, რომ ამან დაიწყო სპარსეთში თავის მოძმეებთან წერილების წერა. ზოგიერთ აქაურ ქართველებთან თათბირი ჰქონდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მაშინდელ გაზე-

სიის მთავარ-მართებელს თხოვნა მისცა და ითხოვა, რომ სპარს-თა ქართველნი საქართველოში გადმოსახლებას ვითხოვთ და ამიტომ წარმოგვზავნით თქვენს წინაშე ჩვენს წარმომადგე-ნელს ათამ ონიკაშვილს და გთხოვთ, რომ ჩვენი თხოვნა შეიწყნაროთ, სპარსეთის შაჰისთან გვიშუამდგომლოთ და ჩვენს ქვეყანაში დაგვაბრუნოთო. მთავარ-მართებელმა თხოვნა სიამოვ-ნებით მიიღო და გაჰკვირდა მასზე, რომ სპარსეთში ქართ-ველნი ყოფილან, და იქიდან კაცი გამოუგზავნიათ. ათამ ონიკაშვილი თავს ქართველად აღიარებდა მთავარ-მართებლის წინაშე, ასევე მთელ სპარსეთის ქართველთ; თხოვნის შესახებ პასუხის მიღებას დაჰპირდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ის წავიდა გრიგოლ ორბელიანთან და დაუწყო ხვეწნა და ცრემლებით თხოვნა ასე:

შეიბრალეთ სპარსელ ქართველნი, მიხედეთ მათ ტანჯვა-მწუხარებას და მოგვეცით დახმარება წინაშე მთავარ-მართებ-ლისა, რომ ჩვენ საბრალო ქართველთა თხოვნას ყურადღება მიაქციონ და სპარსელი ქართველნი დაიხსნან სპარსთა ტყვე-ობისაგან. მთავარ-მართებლის გარდა ათამ ონიკაშვილი გრი-გოლ ორბელიანს მთავარ მართებლის მეუღლის წინაშეც სთხოვ-და სიტყვის თქმას და დავალებას, რადგანაც ათამ ონიკაშვი-ლი მთავარ-მართებლის მეუღლემაც ინახულა და გამოჰკითხა ქართველთ ვითარება, რამაც ერთობ განაკვირა იგი. გრიგოლ ორბელიანმა პირობა მისცა, რომ მთავარ-მართებელთან და მის მეუღლესთან მივალ და ვითხოვ ყველაფერსაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ათამ ონიკაშვილი მივიდა გრიგოლ ორბელიანთან და პირობის შესახებ ჰკითხა. მან უთხრა:

ძმაო! ჩვენში არაფერი საზოგადოება არსებობს; მე ვერ

გაბედე მათი თხოვნა, მიტომ რომ არაფერი იქნება, ჩვენ თხოვნას არ შეიწყნარებენ, იქიდან აქ ხალხს არ გადმოასახლებენ. ან რა საჭიროა მათი აქ გადმოსახლება, იყვნენ იქ, იცხოვრონ მშვიდობით და ხანდისხან აქაც მოვიდნენ. ათამ ონიკაშვილს ამ ამბის შეტყობა ძრიელ ეწყინა, ეწყინა მით უფრო, რადგანაც მას უარი უთხრა ისეთმა პირმა, რომელიც იყო გრიგოლ ორბელიანი და ვისგანაც უფრო დიდი იმედი ჰქონდა საქმეში მონაწილეობის მიღებისა და დახმარებისა. ამის შემდეგ ათამ ონიკაშვილს ძრიელ გაუტყდა გული, ქართველებისაგან აღარაფრის დახმარების იმედი ჰქონდა, ვისაც შეხვდებოდა ყველას მწუხარებით ელაპარაკებოდა ქართველთა უხეირობას, ზარმაცობას და საქართველოსადმი გაციებულს გულს და გრძნობასა. ჩვენ ხშირად ვნახავდით ერთმანეთს და ვსაუბრობდით ჩვენ მწერლობის შესახებ. ერთხელ „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ ვთქვა: მე ბევრი წიგნი წამიკითხავს სპარსულს ენაზე, მაგრამ გეფიცებით, რომ ასეთი არაფერი მინახავს და მიკითხავს. „ვეფხის ტყაოსანი“ თვალია არამც თუ მარტო ქართულის მწერლობისა, არამედ მთელი აზიის ხალხისათა. სპარსულ ენაზე მისი ტოლი და მზგავსი არაფერია, არის ერთი მოთხრობა პროზად, რომელიც ძრიელ მცირედ, სულ ბნელად წააგავს „ვეფხვის ტყაოსნის“ ზღაპარსაო, სხვა ამის ტოლი არაფერია სპარსთა მწერლობაშიო. ათამ ონიკაშვილი ხშირად კითხულობდა სპარსულ წიგნებს და იქ ქართველების ცნობებს ეძებდა; უყვარდა მეტად „შაჰ-ნამეს“ კითხვა, ქართული თარგმანიც წაიკითხა. „ლეილიანი, ბარამიანი“ და სხვა სხვა ქართული თარგმანებიც გაშინჯა და სპარსულს დაბეჭდილ წიგნებს უდრიდა. დიდათ უყვარდა საქართველოს

ისტორიის კითხვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს დაუმეგობრდა საგარეჯოს დეპოს მწარმოებელთ ამხანაგობას და მალე ამ დეპოს დახლიდრად დადგა. საქმის წარმოება დაიწყო, რამდენიმე ხნის შემდეგ მოინათლა, სახელად ალექსანდრე უწოდეს, საგარეჯოში ქალიც შეირთო, მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი, რომ ამან სხვა და სხვა მიზეზების გამო 1880 წლებში თავი მოიკლა დამბაჩით და მით გაათავა თავისი მწუხარება და შეუსრულებელი წადილი. ამ პირის ასე უმიზეზოთ დაღუპვა ბევრს ეწყინა, ბევრმა სთქვა, რომ ეს საწყალი ქართველი რა უბედურად და უგზო-უკვლოდ დაიღუპაო, დაიღუპა უფრო სპარსელ ქართველთათვისაო. ათამ ონიკაშვილის შემდეგ ჩვენ სპარსელ ქართველთ ცხოვრების შესახებ აღარაფერი შევიტყვია; იქიდან სპარსელ ქართველთაგანი აქ აღარავინ მოსულა. მათ შესახებ სომხურს გაზეთშიც იყო რამდენიმე ცნობა დაბეჭდილი და ამ ცნობებსაც ახლა მოვიყვან. სპარსეთში მცხოვრებთ ქართული ცნობებთ ჩვენთვის შეიძლებოდა საეჭვოდ დარჩენილიყო, მაგრამ ამ საბრალოების შესახებ 1877 წ. სომხურს სასულიერო ჟურნალ „არარატში" და სხვა და სხვა წლების „მშაკის" ნომრებში აი რას სწერდა სპარსეთიდგან სომხთა სპარსელ მწერალი: „მე ამას წინეთ ერთს წერილში მქონდა გაკვრით ლაპარაკი სპარსეთში მყოფ ქართველებზე და მათ ყოფა-ცხოვრებაზე. ეხლა მოგახსენებთ რამდენსამე სიტყვას და იმედი მქნება, რომ თქვენი პატივცემული ჟურნალი ამ წერილს დაბეჭდავს, რადგანაც ეს ამბავი ბევრ ჩვენთაგანთათვის იქნება სასიამოვნო, რადგანაც ეს ცნობები შეეხება ჩვენს მეზობელ და მოძმე ქართველთ ყოფა-ცხოვრებას. სპარსეთის სამხრეთის ნაწილში, სულთანა-

ბადის სათემოსკენ სცხოვრობენ რამდენიმე სოფლელნი ქართველთა, რომელნიც დროის მეოხებით გამაჰმადიანებულან. ამ მხარეს მე მომიხდა გავლა და ნახვა მათი. როცა ქართველებმა მე დამინახეს, მაშინ მათ რაღაც იგრძნეს გულში, ქართველი ვეგონე, დიდათ გაუხარდათ. საჩქაროთ მომიახლოვდნენ და მკითხეს სიხარულით ქართულს ენაზე ესე:

— ბატონო, თქვენ აქაური კაცი არ უნდა იყოთ, შეიძლება ბრძანოთ, თუ საიდან ბრძანდებით,ქართველი ხომ არა ხართ, საქართველოდან.

მე მათ ჩემი ვინაობა ვუამბე, მეც გამოვკითხე მათ თავიანთი ნაობა. მათ მითხრეს:

— ჩვენ ქართველები ვართ, თქვენც გეცოდინებათ ქართული?

— დიახ ვიცი, მივუგე მე. ჩვენ დავიწყეთ ქართულად ლაპარაკი, ლაპარაკის დროს მათ სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა.-

— თქვენ სადა სცხოვრობთ? ვკითხე მე.

ჩვენ აქ დროებით ვცხოვრობთ. აქ საქონელი დაგვიდის და გამოვკვებთ, რადგანაც აქ კარგი ბალახი იცის. ამათ აქ ხის ალაჩუხები აქვსთ გაკეთებული. სამუდამ ცხოვრება სადა გაქვთ? ვკითხე მე მათ. ჩვენა ვცხოვრობთ ფრეოდანის ხეობაში; ფრეოდანი მაზანდარიდან ხუთი დღის მანძილზე სძევს. იქ არის ჩვენი სოფლები, ყველაზე დიდი შვიდი სოფელია, ზემო აკურა, ქვემო აკურა, ახჩა, ტაშკენაში, აფუსი და მარტყოფი, სადაც 1,000 ქართველი სცხოვრობს. ბევრი რამ მიამბეს ამ საბრალოებმა. მე ძრიელ გამაკვირვა ამათმა ქართულმა ლაპარაკმა, ჩინებულად შეუნახავთ თავიანთი ენა, ქართულს ისე ლაპარაკობენ, როგორც საქართველოს ქართველნი. ჩვენ კარგა ხანს ვისაუბრეთ, ჩვენი ლაპარაკის დროს აქედ გამოიარეს სხვა

სპარსელ ქართველთაც, ამათ თავიანთ მეგობარ ქართველებთან დადგნენ და ლაპარაკი დაიწყეს. მეც დამაცქერდნენ, რამდენიმე წუთის შემდეგ ამათაც დამიწყეს ლაპარაკი. მე მკითხეს:

— ვინა ხართ თქვენა, აქ საიდამ მოსულხართ?

მე ჩემი ვინაობა აუხსენ. მერე მე ვკითხე მათ:

— თქვენ ვიღა ხართ?

— ჩვენ ქართველები ვართ, მაგრამ საქართველო თვალითაც არ გვინახავს. დიდი ხანია რაც ჩვენ სპარსეთში ვცხოვრობთ. ჩვენი ძველები საქართველოდამ შაჰაბაზის დროს გადმოუსახლებიათ აქეთ.

— ეხლა სად მიბძანდებით? ვკითხე მე.

— აქეთ, ერთ სომხის სოფელში მივდივართ, რადგანაც იმ სოფლის სომეხთ ეკლესიაში ჩვენი სახარება ძევს, სახარებას თაყვანს ვსცემთ, იქა ვლოცულობთ ხოლმე, სახარების პატივის საცემრად ადრე სპარსებიც დადიოდნენ, ეხლა ისინი აღარ დადიან, ჩვენ დავიარებით ეხლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ გამოვემშვიდობეთ ერთმანერთს და წავედით აქეთ-იქით. მათს მადლობას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ამ ზაფხულში, ფერეიდანის ხეობიდამ, სპარსეთში ჯარი მოვიდა, რომელ ჯარშიაც 150 კაცი ქართველი ერია. რამდენიმე ჯარის კაცნი ქუჩაში მიმავალნი ვნახე და ესენი ქართულად ლაპარაკობდნენ. მე მაშინათვე შევაჩერე ისინი და ვინაობა გამოვკითხე, ჩემი გაცნობა მათ ძრიელ გაეხარდათ, ნამეტურ ქართული ენის გაგონება ესიამოვნათ. მე მკითხეს:

თქვენ ვინა ბძანდებით, ქართველი ხართ?

— არა, მე სომეხი ვარ, მხოლოდ საქართველოში დაბა-

დებული, ქართულიც მიტომ ვიცი.

— შენი ჭირიმე, აქ ვინმე ქართველი ხომ არ სცხოვრობს, ძრიელ გვენატრება ქართველი კაცის ნახვა. დიდათ დაგვავალებთ, თუ ქართველ კაცს გვიჩვენებთ.

— არა ძმებო, საუბედუროთ თქვენდა აქ ქართველი არავინ სცხოვრობს. ამის გაგონებით იგინი დიდათ შესწუხდნენ. მეც შევწუხდი. მერე მე უთხარი:

— აქ, ქართველთაგანი მხოლოდ ერთი მღვდელი სცხოვრობს, რომელიც რუსის კონსოლთან იმყოფება, თუ ისურვებთ და არ მოერიდებით მის გაცნობას, მე წაგიყვანთ იქ და გაგაცნობთ.

მათ ძალიან გაეხარდათ და მითხრეს:

— ძრიელ კარგი იქმნება.

ჩვენ მალე წავედით კონსოლის სახლში, მაგრამ არქიმანდრიტი შინ არ დაგვიხვდა, საზაფხულოთ ახლო სოფელში წასულიყო, ქართველნი ძრიელ შეწუხდნენ, არქიმანდრიტს მე კაცი გაუგზავნე, იგი საჩქაროთ ჩამოვიდა ქართველთა ნახვს და დიდათ გაეხარდათ, მათ დიდი ხანი ისაუბრეს, არქიმანდრიტსაც ძრიელ გაეხარდა, მე დიდი მადლობა გადამიხადეს ქართველთა, რომ მათ ქართველი მოძღვარი უჩვენე.

უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ამათ მტკიცეთ შეუნახავთ ქართული ენა და ხასიათები, ყველგან ესენი ქართველათ იწოდებიან, ტანთსაცმელსაც ქართულათ იცმენ, მე ძალიან მიკვირს, რომ ასე დაშორებულს მხარეში, ამდენი ხნის განმავლობაში ქართველებს ქართული ენა არ დაუკარგავთ.

ამ წერილის შემდეგ, განვლო რამდენმამე ხანმა და სპარსეთიდამ საქართველოში ჩამოვიდა არქიმანდრიტი, პატრი-

ცემული მამა არქიმანდრიტი ქვსეი, მე ვნახე და სომხურ გაზეთში დაბეჭდილ ამბების ცნობები და სინამდვილე ვკითხე. მან ყველაფერი ჭეშმარიტათ აღიარა და თვითაც დაუმატა:

— მე გავიცან იგინი და რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთმა სომხის ეპისკოპოზმა დამპატიჟა, მე წაველ, მგზავრობის დროს იმათ სოფლებისკენ გავიარე, ქართველთ ძრიელ გაუხარდათ ჩემი დანახვა. იმათ მიცნეს, ეგონათ, რომ მე პირდაპირ მათთან მიველ, დიდათ გამიმასპინძლდნენ, ძალიან გაუხარდათ, სხვა და სხვა სოფლის ქართველებსაც შეატყობინეს, რომ ჩვენთან ქართველი მღვდელი მოვიდაო. როგორც ერთს სოფელში მომცეს პატივი, ისევე მეორეში, პირობა მივე, რომ მგზავრობის დროს კიდევ ისე გამოვივლი, მათ გაუხარდათ. არქიმანდრიტი დაბრუნების დროსაც ჩამომხტარა მათს სოფლებში, პატივი ისევე უციათ, ლაპარაკის დროს სიტყვა საქართველოში გადმოსახლებაზე ჩამოვარდნილა, ქართველთ დიდათ გახარებიათ და თანხმობა უთქვამსთ, უთქვამსთ, რომ დიდის სიამოვნებით გადავსახლდებით საქართველოშიო. დაბრუნების შემდეგ ქართველთ ნატვრა და თხოვნა არქიმანდრიტს კონსოლისთვის გადაუცია, კონსოლს უთქვამს, რომ მათ თხოვნა შეადგინონ და მომცენ მის შესახებ, მე იმათ თხოვნის საფუძვლით შაჰს მივმართავო და ვეცდები, რომ ქართველთ თხოვნა შეიწყნაროსო. არქიმანდრიტს ქართველები დაუბარებია და კონსოლის სიტყვა გარდუცია, ქართველთ უთქვამსთ, რომ ჩვენ გვეშინიან, თხოვნას ვერ მივსცემთო, შაჰმა რომ შეგვიტყოს, ვიდრე გადასახლება მოხდება, მანამდის ყველას თავებს დაგვაყრევინებსო. ისევე ისე თუ მოხერხდება, რომ კონსოლმა სთხოვოს ჩვენ მაგიერ და როცა ჩვენ დაგვა-

ბარეზენ და გვკითხავენ, მაშინ ჩვენც გადასახლების თანხმობას გაუცხადებთ, მაშინ ჩვენ ვიცით, როგორ ვეცდებითო. კონსოლს უამათ თხოვნით მთავრობის თხოვნა არ უქმნია და ქართველებსაც შიში ჰქონიათ თხოვნის მიცემის, რაისა გამო ყველაფერი შეჩერებულა.

არქიმანდრიტმა დაუმატა, რომ ლაპარაკში სპარსული სიტყვები უხვათ შეჰპარვიათ, სხვაფრივ ისევე ქართველობენ, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ.

რაც ქართველებმა ამბავი შევიტყეთ, რომ სპარსეთში ქართველები სცხოვრობენ და დღევანდლამდე ქართულად ლაპარაკობენო, მას შემდეგ გავიდა თითქმის თვრამეტი წელიწადი და თფილისის სომხურ გაზეთ „ნორდარში“ დაბეჭდა წერილი სპარსეთიდამ გამოგზავნილი, ამ წერილის დამწერი აღგვიწერს სპარსეთში მცხოვრებთ ქართველთ ცნობებს. დამწერი სწერს, რომ შემდეგ წერილებით დაწვრილებით აღვწერთ ქართველთ ცხოვრებასა და გაგაცნობთო, მაგრამ შემდეგ ნომრებში ჩვენ ეს წერილები ვეღარ ვნახეთ. აი რას იწერებოდნენ მაშინ:

— თეირანიდამ მე მიმიწვია ერთმა ჩემა მეგობარმა. მე წაველ მასთან, კარგა მგზავრობის შემდეგ ჩემის მასპინძლის სახლში მიველი, ჩემის მისვლის დროს მასპინძელს არა სცალოდა, სამზადიში იყო. ამ დროს ერთს დარბაზში სტუმრები უკვე მოგროვილიყვნენ. ჩემმა მასპინძელმა მითხრა, მე აქ საქმეში ვარ, ვერ გელაპარაკები, თქვენ არ გეწყინოთო, ამიტომ დარბაზში, სტუმრებთან შევიდეთ, იქ გაატარეთ დრო, მე თქვენს ერთს მექვეყნეს გაგაცნობ და ისაუბრეთ, ჩვენ მალე შეველით დარბაზში. იქ ისხდნენ რამდენიმე მოხუცი სა-

პატიო სომეხნი და სპარსნი და მათ შორის ერთი მოხუცი ახუნდიც. ჩემი მასპინძელი ახუნდთან მივიდა, მეც მიმიყვანა და ასე უთხრა:

— პატივცემულო ახუნდო! ეს სტუმარი თქვენი „ჰამშარი“ გახლავსთ და გთხოვთ გაიცნათ. მე გავოცდი.

ახუნდმა სიჩქარით სთქვა:

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, კეთილი, დიდი მადლობა, რომ ძლივს ერთი ქართველი კაცი ვნახე.

ახუნდს ეს სიტყვები სპარსულად უთქვამს, მერე ქართულად დაუწყვია ლაპარაკი:

- ბატონო, თქვენ საქართველოდამ ბრძანდებით, ქართველი ხართ?

სომეხს დიდათ გაჰკვირვებია ქართული ენის გაგონება და ამას უთქვამს:

— მე, სომეხი გახლავართ, მხოლოთ საქართველოში ვარ დაბადებული და ქართული ენა მიტომ ვიცი.

— ოჰ, შენი ჭირიმე, შენი, ახუნდმა დაიძახა ხმა მაღლა და სიხარულით სავსემ.—მე არ მქონდა იმედი, რომ ოდესმე აქ ქართველ კაცს ვნახავდი, ძლივს მეღირსა ქართული ენის მცოდნე კაცის ნახვა, საქართველოს მნახველი. გაცნობის შემდეგ ამათ ლაპარაკი დაიწყეს და ახუნდი სიტყვებს სულ ჭირიდამ გლეჯავდა თურმე და ისე ისმენდა სულ-განაბული, ახუნდს ძრიელ ეხაროდა საქართველოს მნახველი კაცის გამამასპინძელს, დიდი მადლობა გადასცა, რომ ესეთი ძვირფასი კაცი მაჩვენეო. მასპინძლობის გათავების შემდეგ ახუნდს მასპინძელი და მისი სტუმარი მეორე დღისათვის თავის სახლში მიუწვევია. დანიშნულს დროს ესენი წასულან ახუნდის სახლში,

ახუნდს სხვა სტუმრებიც ჰყოლია მიპატიჟებული, თვით ახუნდი საკმარისად შეძლებული და სახელოვანი კაცი ყოფილა, იქაურებში დიდათ პატივცემული. მასპინძლობის დროს ახუნდი დიდს აღტაცებაში მოსულა და ასე უთქვამს ქართულად:

— შენი ჭირიმე შენი, თუმცა ჩვენი სჯულის მაღით ქართულს, ან სხვა ენაზე ლაპარაკი აღკრძალული გვაქვს, მაგრამ მე მაინც ქართულათ გილაპარაკებ თქვენთან. ვინც რამ უნდა სთქვას, ერთი მიამბე შენი ჭირიმე, თუ საქართველო საითკენ არის და ან ქართველები როგორ სცხოვრებენ, როგორ მდგომარეობაში არიან დღეს, გთხოვ და გავალებ ჩემო ძვირფასო სტუმარო, რომ ყოველის ფერი მიამბო.

— ძალიან კარგი! მიუგო სტუმარმა და ამან დაიწყო საუბარი და უამბო საქართველოს მდებარეობა, უამბო, თუ საქართველო საით სძევს, აცნობა თუ საქართველო რამდენი ნაწილებისაგან შესდგება, რომ აქ სცხოვრებენ სხვა და სხვა მთის ხალხნი, მაგრამ ყველანი ქართულათ ლაპარაკობენ და ქართველები არიან. ქალაქები აქვსთ, მწიგნობრობა და სხვანი, შუა ლაპარაკის დროს ახუნდი თურმე დიდათ აღელდა და თვალებიდამ ცრემლები წამოსცვივდა, ტირილი დაიწყო, საქართველოს შესახებ საუბარმა მოხუცი ახუნდი დიდათ შეაწუხა. წერილის დამწერი სწერს:

„მე რომ შევატყე მოხუცს ახუნდს, რომ საქართველოს ამბების მბობით ის დიდათ სწუხდებოდა და ტირილი დაიწყო, ამიტომ მე ლაპარაკს კილო შევუცვალე, რომ ისეც შეწუხებული მოხუცი ახუნდი უფრო არ შეწუხებულიყო, ახუნდი დამშვიდდა, ჩვენ ლაპარაკი არ შევწყვიტეთ და მთელი მასპინძლობა საქართველოზე საუბრით გავათავეთ, სტუმრობის გათავების შე-

მდეგ ასუნდმა დიდი მადლობა უთხრა ჩემს მასპინძელს. თვითონ ასუნდი ქართულათ მშვენივრათ ლაპარაკობს, ამის სახლობაშიაც ქართულათ ლაპარაკობენ. ასუნდს უთქვამს, რომ ჩვენს სოფელს გარდა აქეთკენ სხვა სოფლებიც არისო, სადაც სულ ქართველები სცხოვრობენ და ქართულათ ლაპარაკობენო, ქართველებს მისვლა-მოსვლა, მეგობრობა, ნათესაობა და ალებ მიცემა მხოლოდ ერთმანეთში აქვსთო.

დამწერი არ აღგვიწერს თუ ეს სოფლები სად, რომელ კუთხეში და ხეობაში არიან გაშენებული. დამწერს ამ სოფლების სახელები რომ მოეყვანა, მაშინ ჩვენ ამას ადვილათ გავარჩევდით. ეს სოფლები ათამ ონიკაშვილისაგან დასახელებული სოფლები არ უნდა იყოს, რადგანაც ათამ ონიკაშვილი მოგვითხრობდა, რომ ჩვენი სოფლები მაზნდარანის იქით არს, ყულევის ხეობაზე, სპარსეთის სამხრეთ, ჩრდილოეთ, სადაც ზამთარი და თოვლი ექვს თვეს იცისო ,,ნორდარის‘‘ ცნობა კი მოგვითხრობს, რომ ეს სოფლები თეირანთან ახლოს ყოფილა. ასე რომ ეს სოფლები ჩვენ სხვა სოფლები გვგონია და არა ის, რაც წინეთ გავიცანით. ეჭვი არ უნდა, რომ სპარსეთში ბევრს ალაგს იქნება ქართველთა კვალი დაშთენილი, ამას წინეთაც მაუწყა შემთხვევით ერთმა ქართველმა, რომ სპარსეთის ერთს ხეობაში არს ერთი დიდი სოფელი, რომელსაც ,,გურჯი მეჭელეს‘‘ უწოდებენო და ამბობენ, რომ ვითომც ძველათ იქ ქართველები ყოფილან დასახლებულნიო, მაგრამ დღეს კი ქართველობის იქ არაფერი სჩანსო. ეს რასაკვირველია ასე იქნება, რადგანაც ამ დაბაში ქართველთ ძველათვე არყევიათ სპარსები, ამ დაბაში მხოლოთ ერთი უბანი ყოფილა, სადაც მარტოთ ქართველნი მდგარან და ამიტომაც

ამ უბანს ქართველთ უბანი დარქმევია, აწ გურჯი მეჭლე. ვინმე ქართველმა რომ დაიაროს მთელი სპარსეთი და გაიცნას ყოველი თემი და ხეობა სპარსეთისა, მაშინ ის იქ ქართველთა კვალს ბევრს მიყრუებულს, მიუვალს და შეუვალს ადგილებში ჰპოვებს, სადაც ბევრს რასმე შეჰკრებს სპარსეთში დაღუპულთ ქართველთა ყოფა ცხოვრების შესახებ, რაც ქართველ მესტორიეს დიდათ გამოადგება. თეირანსა და ხორასანს შუა არის პატარა ქალაქი მეამე, სადაც ქართველები სცხოვრობენო და ესენი ქართულათ და სპარსულათ ლაპარაკობენ.

ძველათ ქართველებს სპარსეთში უფრო ასახლებდნენ შემდეგ ადგილებში: მაზანდარანის მიდამოებში, ფარისისტანის, ბაღდადის, შირაზის, თავრიზის, გილანის ზღვის ნაპირებს და ხორასანს იქით, სადაც თოვლი და ზამთარი ექვს თვეს იცისო. გარდა თურმე ბევრს მჩითებში ჰპოვებს მიცვალებულთა საფლავის ქვებს, რომელთა სპარსული წარწერანიც მოწმობენ, რომ იქ ასაფლავი ვინმე საქართველოს მეფის ან მთავრის შთამომავალი, როგორც მაგალითებრ გუმის მჩითში ხოსრო მირზა არის დასაფლავებული.

ჩვენდა სასიამოვნოთ და სანატრელათ, ამ უკანასკნელ დროს, საქართველოდამ სპარსეთში გაემგზავრა ქართველთა ძვირფასი მოღვაწე ვლადიმერ ალნიაშვილი და იმედი გვაქვს რომ ეს ძვირფასი მოღვაწე ქართველთა საკმარის ცნობებს შეჰკრებს ჩვენგან შორს წასულ და სამუდამოთ დაღუპულთ სპარსელთ ქართველთა ყოფა ცხოვრების შესახებ, რომელ ქართველთა ამბები სპარსეთში აქა იქ ბევრს ეხსომება კიდევ.

ზ. ჭ.

1890 წ.

**მ. ე. ხელაძის** გამოცემა № 2.

მომზადებულია დასაბეჭდათ

1) ქართველები ოსმალეთში.

2) მეფეების მიწერ-მოწერა ინგლისთან, საფრანგეთში და რომში.

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 5.757/2